# საჩემპიონო

საჩემპიონო სპორტული გაზეთი შაბათი 5 თებერვალი 2008 №024 (3248) ფასი 50 თეთრი


# რა გვინდა ქართველებს? ის, რაც შარშან ამ დროს!




# ტიმ ლეინმა დაინახა ქართული გული გამარჯვებისთვის ფეთქავს!



— ასეთი შეკრული, პოტენციალით სავსე და შემსრულებელი გუნდის დახვედრას ნამდვილად არ ველოდი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბიჭების მზადყოფნა, სიახლეების ათვისების უნარი და ჟინი ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

— ბიჭებმა მოედანზე სული და გული დადეს, მონდომება და ხასიათი დამანახეს. ეს ადრე მონაყოლით ვიცოდი, მაგრამ როდესაც თვითონ ვნახე, უკვე ჩემი თავისაც ვირწმუნე.

— ორ-სამ წელიწადში საქართველო იტალიას მოუგებს და გადაასწრებს. მე, როგორც მწვრთნელი, ამას თამამად ვამბობ.

ინტერვიუ საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელთან



# ლატვიამ ყინვა გაიკვირვა, ქართულად იძეიფა და ხელგური გააჩაღა


დავით მუჯირის (შუაში) თემა დაიხურა

# ხმაური მორჩა!

**დავით მუჯირის** გახმაურებულ საქმეს საბოლოოდ დაესვა წერტილი — ის უკვე მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელია და ახლა მხოლოდ რუსეთის ფეხბურთის პროფესიულ ლიგაში რეგისტრაციას ელის, რაც ფორმალობაა.

მუჯირის „კრილია სოვეტოვიდან" „ლოკომოტივში" გადასვლამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. სამარულმა კლუბმა ფიფაშიც გაგზავნა წერილი, რათა შეფასება მიეცა ამ ფაქტისთვის, თუმცა ორივე კლუბის პრესსამსახური ოფიციალურად აცხადებს, რომ მათ შორის შეთანხმება მოხდა:

— „ლოკომოტივისა" და „კრილიას" წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ფეხბურთელის სურვილი. „ლოკომოტივი" ვალდებულია, „კრილიას" ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი, 1 100 000 დოლარი გადაუხადოს და მოიხსნება ყველა პრეტენზია. ორივე მხარე სხვა კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს.

ამასობაში, მუჯირმა თხოვნით მიმართა კლაუს ტოპმიოლერს, ლატვიის ნაკრებთან თამაშისგან გასათავისუფლებლად, რადგან ჯერ კიდევ არ არის სრულ მზადყოფნაში და „ლოკომოტივშიც" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის, გერჰარდ ჰიტცელემის მეთვალყურეობით ვარჯიშობს. გამორიცხული არ არის, დღეს რაშიდ რახიმოვმა მუმუ ავსტრიული „კერნტენის" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩშიც ათამაშოს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლატვიამ ყინვა გაიკვირვა, ქართულად იქეიფა და ხელბურთი გააჩაღა

**საქართველოს** ნაკრების ხვალინდელი მეტოქე ლატვიის ეროვნული გუნდი თბილისში გუშინ საღამოს ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა და მოგვიანებით „მიხეილ მესხის" მოყინულ მოედანზე ივარჯიშა. ბალტიისპირელთათვის ყინვა, აბა, რა გასაკვირია, მაგრამ ასეთ თბილისურ ამინდს ისინი მაინც არ ელოდნენ — მეტი ყინვა არც რიგაში არისო, თქვეს სტუმრებმა...


ბაჩო კორძაიას ფოტო

ამას წინათ ჩვენმა ლატვიელმა კოლეგამაც გვაცნობა, ლატვიაში თბილისში წამოსვლის იმდენი მსურველია, მათ ერთი თვითმფრინავი არ ეყოფათო. ამხანაგური მატჩის კვალობაზე სტუმრები მართლაც ბლომად ჩამოვიდნენ — მხოლოდ ოფიციალური დელეგაცია დაახლოებით 50 კაცს ითვლის, ერთი ამდენი კი ჟურნალისტები, ქომაგები და ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის სპონსორთა წარმომადგენლები არიან.

ცნობისთვის: ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ახლახან გააფორმა კონტრაქტები „ადიდასთან", „ტოიოტასთან" და კიდევ რამდენიმე ადგილობრივ კომპანიასთან. ფედერაციასა და სპონსორების ახალი თანამშრომლობის დაწყების პრეზენტაცია შაბათს რიგაში გაიმართა, გუშინ კი ყველანი ერთად თბილისში წამოვიდნენ. ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის უფროსობამ, სპონსორებს პატივისცემა უნდაო, გუშინვე ისინი რესტორან „მეიდანში" მიიწვია და ქართულად უმასპინძლა.

უფროსები და სპონსორები „მეიდანში" რომ ილხენდნენ, ლატვიელი ფეხბურთელები, როგორც ვთქვით, „მიხეილ მესხის" გაყინულ და ჩალისფერ მოედანზე ვარჯიშობდნენ. სტუმართა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვსმა თბილისში სადღეისოდ თითქმის უძლიერესი შემადგენლობა ჩამოიყვანა — მის სამწყსოს მხოლოდ იურის ლაიზანსი აკლია, რომელიც ახლახან რუსულ „შინიკში" გადავიდა და ნაკრებს საამხანაგო მატჩისთვის... სული კი სტარკოვსმა 19 ფეხბურთელი იახლა, მათგან სამი მეკარე (რომელთაგან პირველი ნომერი ალექსანდრ კოლინკოა) და ოთხი თავდამსხმელი, შეტევის ლიდერ მარის ვერპაკოვსკისის ჩათვლით. ლატვიელთა შორის რამდენიმე გამოცდილი, პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელი კი არის, მაგრამ უფრო მეტი ახალგაზრდაა, ვისი იმედიც ლატვიას მომავალ შესარჩევ ეტაპზე უნდა ჰქონდეს...

ორსაათიანი ვარჯიშის დაახლოებით ორი-მესამედი სტარკოვსმა შეგირდები არბენინა და ხელბურთი ათამაშა.

ერთხელაც გავიმეოროთ, რომ მოედანი ისეთ მდგომარეობაშია, იქ ბურთის გაგორება, ცოტა არ იყოს, სარისკოც არის, ემანდ ვინმემ ტრავმა არ მიიღოს.

თუმცა ლატვიელებმა საქართველოსთან მოსამზადებლად თბილისში წამოსვლის წინ რიგის სპორტულ ცენტრში ერთხელ უკვე ივარჯიშეს და გუშინ, თანაც ნამგზავრებისთვის, უხეირო ვარჯიშის გამო ძალიანაც არ ინერვიულებდნენ, მით უმეტეს, თამაშამდე ერთი დღე კიდევ აქვთ.

**კობა ინასარიძე**

# ნიკა გელაშვილმა სეზონი დაასრულა


ბაჩო კორძაიას ფოტო

**დაბა** ბელეკში შეკრებაზე მყოფ „ზესტაფონს" იმერეთში დაბრუნება უხასიათოდ მოუწევს. გუშინდელ „სარბიელშიც" ვწერდით, რომ „ბელეკის თასის" გათამაშებაში „ზესტაფონისა" და ბრაზილიური „პტაკის" მატჩისას იმერელთა ახალწვეულმა ნიკოლოზ გელაშვილმა მძიმე ტრავმა მიიღო.

სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ გელაშვილს ლავიწის ძვალი აქვს გატეხილი და გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდება.

გელაშვილი თურქეთშივე მკურნალობს და კურსს საქართველოში გააგრძელებს.

შეგახსენებთ: გელაშვილი ლატვიელებთან ხვალინდელი მატჩისთვის ნაკრებში იყო გამოძახებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჭედიამ სუდუვა მოსინჯა

**ქუთაისის** „ტორპედოსა" და ზუგდიდის „მგლების" ყოფილი ფეხბურთელი, 20 წლის გიორგი ჭედია ლიტვაშია და იქაურ „სუდუვაში" ისინჯება.

ჭედიას ლიტვური კლუბიდან მიუვიდა მიწვევა და ერთი თვის განმავლობაში შეეცდება, თავი მოაწონოს ბალტიისპირელებს. ქართველმა შემტევმა უკვე მოასწრო ერთი საკონტროლო მატჩის ჩატარება — „სუდუვა" 1:2 დამარცხდა ლატვიურ „დაუგავასთან". ჭედია სასტარტოში იყო, თუმც მეორე ტაიმში შეცვალეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**მექსიკა**

კლაუსურა. III ტური

ამერიკა 2:0 უნამი

**იტალია**

სერია C1/A. XXII ტური

პადოვა 2:2 ფოლინო

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XVIII ტური

კარლ ცაისი 2:3 ალემანია

**პორტუგალია**

სუპერლიგა. XVIII ტური

სეტუბალი 1:2 ნავალი

**ჩილე**

აპერტურა. II ტური

ატლეტიკო 0:0 უნივ. დე ჩილე

უაჩიპატო 0:2 ოსორნო

**ამხანაგური მატჩები**

ვენესუელა 1:0 ჰაიტი

ბელარუსი 1:2 სომხეთი

მალტა 1:0 ისლანდია

მოლდოვა (U-21) 0:0 რუმინეთი (U-21)

**აფრიკის თასი 2008**

მეოთხედფინალი

ტუნისი 2:3დ.დ.(2:2) კამერუნი

# ალექსანდრ სტარკოვსი: შედეგზე მეტად თამაში მაინტერესებს

**ლატვიის ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრ სტარკოვსი, სანამ გუნდს ვარჯიშს დააწყებინებდა, ქართველ ჟურნალისტებს გაგვესაუბრა...**


ბაჩო კორძაიას ფოტო

— ყოველთვის სასიამოვნოა საქართველოს ნაკრებთან შეხვედრა. ქართული ფეხბურთი ჩვენთვის უცხო არ არის, ლატვიაში ქართველ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილსაც უმუშავია, ზურაბ მენთეშაშვილს და ზაალ ელიავას კი ლატვიელი მაყურებელი არაერთხელ მოუხიბლავთ.

— **რამდენად ოპტიმალურია თქვენი შემადგენლობა, ვინმე ხომ არ გამოგაკლდათ?**

— იური ლაიზანსი ვერ ჩამოგვყვა, სხვა ფეხბურთელები კი მწყობრში არიან. აქვე გეტყვით, რომ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი მოვიწვიეთ — მინდა, მათი თამაში ვნახო.

— **რას ელოდებით თამაშისგან?**

— რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მოვიგებთ, თუმცა შედეგი დიდად არ მაინტერესებს. მთავარია, ვნახო, როგორ ფორმაში არიან ბიჭები. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები სექტემბერში იწყება და ეს ამხანაგური შეხვედრები მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ.

— **შანსებს როგორ აფასებთ?**

— ფავორიტი საქართველოა, რადგან შინ თამაშობს, დანარჩენს კი მატჩი გვაჩვენებს.

*მცირე კომენტარი სპლიტის „ჰაიდუკის" ფეხბურთელ მარის ვერპაკოვსკისსაც ვთხოვეთ...*

— საქართველოს ნაკრები ყოველთვის სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. თქვენი ნაკრები კარგი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. ლატვიაში კი სეზონი არ განახლებულა და ფეხბურთელებს ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლიათ. პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება — ვნახოთ, რა იქნება...

**ნუკრი ლოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორც შარშან, თურქეთთან

## კლაუს ტოპმიოლერი: ხიზანიშვილთან ყველაფერი მოგვარებულია

**ახალი** მიზნები და ახალი იმედი — საქართველოს ნაკრები გუშინ პირველად შეიკრიბა ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის შემდეგ. ახლა შესარჩევიდან კარის გაჯახუნებაზე აღარ ვფიქრობთ, წინ დატვირთული წელიწადია და მართალია, მუნდიალ 2010-სთვის გასაკვლევ გზამდე შვიდი თვეა დარჩენილი, სახვალიო მატჩი სწორედ მომდევნო შესარჩევისთვის მოსამზადებლად განიხილება.

კარგი იყო შარშანდელი თებერვალი, მაშინაც საშინაო ამხანაგურით დაიწყო და ქართველებმა თურქებს სძლიეს (1:0), ახლა კი ლატვიაა მომხვდური, რომელთან მოგებასაც ოსმალოებთან გამარჯვების ფასი ვერ ექნება, მაგრამ მარტო ეს როდია — ახალი, გადახალისებული ნაკრებია, ახალი იმედებით...

დავიწყოთ: კლაუს ტოპმიოლერის ნაკრები გუშინ შეიკრიბა და სხვა მინდვრების მოყინულობა-ჭყაპიანობის გამო, „ოლიმპის" ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის ხელოვნურსაფარიანზე ივარჯიშა. ტოპის და რალფ მინგეს 17 ფეხბურთელი ჰყავდათ და ბარემ ჩამოვთვალოთ — *ნუკრი რევიშვილი, გიორგი მაკარიძე, როინ კვასხვაძე, ლაშა სალუქვაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი შაშიაშვილი, ზაალ ელიავა, ჯაბა კანკავა, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი ხიდეშელი, ალექსანდრე კვახაძე, გოგიტა გოგუა, ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, დავით სირაძე, დავით კვირკველია და ბექა გოცირიძე.*



ბადრი კეთილაძის ფოტო

### გოგუამ ნალჩიკთან 3-წლიანი გააფორმა

არ იყო კაპიტანი: კახა კალაძეს გუშინწინ „ფიორენტინასთან" ჰქონდა მატჩი და დღეს ივარჯიშებს, ისევე, როგორც „დნიპროს" სანდრო კობახიძე.

საქმე ისაა, რომ კობახიძე გვიან გამოიძახა ტოპმიოლერმა ტრავმირებული ფეხბურთელების სანაცვლოდ.

მოკლედ, ნაკრები ხვალ 19 ფეხბურთელით იქნება.

და რაც შეეხება დანაკლისს, წინასწარი სიიდან ლატვიასთან ვერ ითამაშებენ ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ნიკა გელაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, მათე ღვინიანიძე და ამირან სანაია.

და აი, *გოგიტა გოგუაც*, რომელსაც ნაკრებში შარშან 24 მარტის შემდეგ აღარ უთამაშია...

— მიხარია, რომ ამხელა შესვენების შემდეგ პირველად ვითამაშებ ნაკრებში. ნოემბერში ყატართან და ლატვიასთან მატჩებისთვის კი ვიყავი გამოძახებული, მაგრამ ტრავმა მივიღე...

...მართალია, ლატვიასთან ამხანაგური თამაშია, მაგრამ თავს არ დავზოგავთ — უნდა მოვიგოთ!

...ნალჩიკის „სპარტაკთან" სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ამ კლუბში ადრე კარგი სეზონი გავატარე და იმედია, უკეთესი წინ მელის — გვითხრა გუშინ გოგიტამ.

ვარჯიში დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა, თავისი კვადრატებით, კუთხურიდან ჩაწოდებებით და ნახევარ მოედანზე ორკარათი.

*კლაუს ტოპმიოლერი:*

— ლატვიასთან და ჩრდილოეთ ირლანდიასთან მატჩები კარგი მოსამზადებელი იქნება იმ მხრივ, რომ ახალგაზრდებს გამოვცდი. საერთოდაც, მოხარული ვარ, რომ შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ამდენი საკონტროლო თამაში გვექნება.

**— ლატვიასთან რამდენიმე ფეხბურთელი დაგაკლდებათ...**

— ვერც ახლა ავცდით დანაკლისს, მაგრამ გამოკლებული ფეხბურთელების შესაძლებლობები ისედაც კარგად ვიცი, ასე რომ, მათი არყოფნა ტრაგედია არ იქნება...

**— ზურაბ ხიზანიშვილი რატომ არ გამოიძახეთ?**

— ხიზანიშვილთან დაკავშირებით რაც მოხდა, ამას კონფლიქტს ვერ დავარქმევ. ყველანაირი გაუგებრობა გამოსწორდა და ზურა შემდეგ მატჩებში ნაკრებში იქნება. ისევე, როგორც ალექსანდრე იაშვილი და გიორგი დემეტრაძე.

**ილია ნანოგაშვილი**



# ჭელიძის მოსკოვი დამთავრდა რას იტყვის ზესტაფონი?

**მოსკოვის** „ლოკომოტივში" გიორგი ჭელიძის დარჩენა გამოირიცხა და ახლა რკინიგზელები მისთვის ახალ გუნდს ეძებენ.

შეგახსენებთ, რომ „პაჭელო" „ლოკომოტივის" საკუთრებაა და პირველ წრეში „ზესტაფონში" იყო განათხოვრებული, თუმც ნაახალწლევს მოსკოვში დაბრუნდა.

ამბობდნენ, მოსკოვური გუნდის ახალ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს ჭელიძის საქმეში ნახვა უნდაო, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ გიორგის „ლოკომოტივის" მთავარ გუნდში წუთითაც არ უვარჯიშია, დუბლებში თამაშს კი ის არ აპირებს და კლუბსაც ამიტომ მოსთხოვა გაშვება.

ისე, ნიკა გელაშვილის მძიმედ დაშავების გამო სულაც არ არის გამორიცხული, ჭელიძის დაბრუნებაზე „ზესტაფონმა" სერიოზულად იფიქროს... ვნახოთ...

**ბაჩა შალამბერიძე**

# ჯაბა კანკავა: უნდა მოვიგოთ!



ბადრი კეთილაძის ფოტო

ჯაბა კანკავა რომ საქართველოს ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია, ამას მისი საკლუბო კარიერაც ადასტურებს — ჩვენებური უკრაინის ჩემპიონატის ყოჩ დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ერთ-ერთი ლიდერია.
ეს დღეები კი კანკავას „დნიპროსთვის" არ ეცლება — ხვალ ნაკრები ლატვიელებს ხვდება...

**— დღეს პირველად შეიკრიბეთ, რა განწყობაა გუნდში?**

— მშვენიერი, ამდენი ხნის უნახავები შევხვდით ერთმანეთს. ჯერ საუბრით გული ვერ ვიჯერეთ, მაგრამ ვგრძნობ, თავში ყველას ერთი აზრი უტრიალებს — მოგება. თანაც ეს სეზონის პირველი თამაშია და მოგება მეტ სტიმულს მოგვცემს, კარგ განწყობაზე დაგვაყენებს.

**— რამდენიმე ფეხბურთელი ისევ აკლია ნაკრებს. ამის ფონზე რამდენად შესაძლებელია მეტოქის დამარცხება?**

— მოგება იოლი არავისთანაა, ბრძოლა იქნება. წამყვანი ფეხბურთელები ადრეც დაგვკლებია, მაგრამ გვითამაშია. მჯერა, ახლაც კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ და გულშემატკივრებს გავახარებთ.

**— შენი აზრით, ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი რამდენად მტკივნეულია?**

— ეს გარდაუვალია და, ვფიქრობ, შედარებით უმტკივნეულოდ მიდის — ეს განვლილი შესარჩევის ბოლო მატჩებმაც დაამტკიცა.

**— მომავალ შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვი?**

— სუსტი არ ეთქმის, თანაბარი ძალის გუნდებითაა დაკომპლექტებული...

**— და მაინც, ძირითად კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

— იტალია ფავორიტია. დანარჩენებთან ბრძოლა შეიძლება. დროა, შედეგი ვაჩვენოთ.

**— სანდრო კობახიძეზეც გკითხავ, რომელიც შენი თანაგუნდელი გახდა...**

— პირველ შეკრებაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი კონტრაქტის გაფორმებისას ჩვენ უკვე კვიპროსზე ვიყავით. კარგია, რომ „დნიპროში" გადმოვიდა — ნორმალურ გუნდშია, რაც, შეიძლება, ტრამპლინად გამოადგეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# დავით კვირკველიას ფეხის იმედი აქვს

საქართველოს ნაკრების მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია ლატვიასთან ხვალინდელი თამაშისთვის ესპანეთიდან ჩამოვიდა. პირინეიზე მისი ზაპოროჟიეს „მეტალურგი" მორიგ შეკრებას გადის. ბოლო ორ საკონტროლო მატჩში კვირკველიას არ უთამაშია, რამაც გვაფიქრებინა, რომ ჩვენებური გუნდის შეცვლას ლამობს — მისი გადაბირება დონეცკის „მეტალურგს" სურს. გუშინდელი საუბარიც ამ თემით დავიწყეთ...

**— ლაპარაკი იყო დონეცკში გადასვლაზე. რა ხდება, ისევ ზაპოროჟიულ გუნდში ხარ?**

— მოლაპარაკებები მიდის და რა იქნება, დრო გვიჩვენებს. ჯერ კი ისევ ჩემს გუნდთან ვემზადები...

**— ბოლო ორ საკონტროლო მატჩში არ გითამაშია. ეს ტრანსფერთან დაკავშირებით იყო გამოწვეული თუ სხვა მიზეზია?**

— ფეხი მტკიოდა და ამის გამო არ ვითამაშე. ძალიან არ მაწუხებდა, მაგრამ გართულებებს მოვერიდე.

**— ახლა რა მდგომარეობაში გაქვს ფეხი?**

— ლატვიასთან თამაშს ალბათ შევძლებ, თუმცა ყველაფერს ვარჯიშები გვიჩვენებს. თუ არ შემაწუხა, კარგი იქნება.

**— მეტოქეზე რას იტყვი?**

— კარგი გუნდია. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უთამაშია, თუმც ისეთი არ არის, ბრძოლა და მოგება არ შეიძლებოდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სათურქეთო ვიტ ჯორჯია

**გუშინ** თბილისის „ვიტ ჯორჯია" თურქეთს გაემგზავრა და ლაბასიდეში დაიდებს ბინას.

ნესტორ მუმლაძის შეგირდების მეორე წრისთვის მზადების მეორე ეტაპი 18 თებერვლამდე გასტანს. ვეტერინარებს ოთხი საკონტროლო მატჩიც აქვთ დაგეგმილი, თუმც კონკრეტული გუნდები და თარიღები დღეს გახდება ცნობილი.

„ვიტ ჯორჯია" თურქეთში 24 ფეხბურთელით გაემგზავრა. გუნდს ვერ წაჰყვნენ ალექსანდრე კვახაძე და ალექსი კაიშაური — პირველი ლატვიასთან მატჩის შემდეგ შეუერთდება გუნდს, მეორე კი ტრავმირებულია და შეკრებას გამოტოვებს...

თურქეთში მუმლაძის განკარგულებაში ეს ფეხბურთელები იქნებიან: *გრიგოლ ბედიაშვილი, ადიკ მიქაბერიძე, შოთა ღურბელეიშვილი, გივა ბეჭვაია, ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი პირველი, გურამ ადამაძე, ლაშა კასრაძე, დავით მაისაშვილი, ლუკა რაზმაძე, გიორგი დათუნაიშვილი, რევაზ ინჯგია, ირაკლი კლიმიაშვილი, გიორგი მელქაძე, გიორგი ვასაძე, გიორგი კვალინიძე, ჯაბა ლიპარტია, გიორგი ბერიაშვილი, ვასილ ლუჭაშვილი, ზაზა სახოკია, ბაჩანა ცხადაძე, გიორგი ჯანელიძე.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მარცვალაძე ხარკოვს მაინც იმტკიცებსო...

## კახა ალადაშვილი: ჩვენ ერთად ვითამაშებთ



კახა ალადაშვილი და ოთარ მარცვალაძე

**სად** გააგრძელებს კარიერას ოთარ მარცვალაძე? იგი კიევის „დინამოს“ საკუთრებაა და „ხარკოვში“ აპირებს გადასვლას, თუმც ისე მოხდა, რომ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში ჩვენიანი უფრო ხშირად მკურნალობს, ვიდრე თამაშობს. ვლადიმირ ბესონოვის გაწვრთნილი „ხარკოვი“ თურქული შეკრებიდან დაბრუნდა და სამიოდ დღეში ისევ იქ ბრუნდება მოსამზადებლად, მაგრამ შანსი იმისა, რომ მარცვალაძე გუნდთან ერთად იყოს, ძალიან მცირეა.

„რამდენად მალე მომჯობინდება მარცვალაძე და რამდენად მოასწრებს ბესონოვისთვის თავის მოწონებას, ჯერ უცნობია. სავარაუდოდ, იგი „ხარკოვის“ სამომავლო გეგმებში არ უნდა შედიოდეს“ — ასე წერს უკრაინული პრესა.

ეს პრესის ვარაუდია, სინამდვილეში კი საქმე ასე რთულად არ არის. გუშინ *კახა ალადაშვილს* დავუკავშირდით, რომელიც უკვე ორი წელია, მარცვალაძესთან ერთადაა — კიევის „დინამოში“ თუ „დინამო 2“-შიც ერთად იყვნენ, „ზაკარპატიეშიც“ და ახლა — „ხარკოვშიც“.

— ჩემი საკითხი გადაწყვეტილია. „ხარკოვში“ შეკრებები გავიარე და აქ ვრჩები. მე 6 თვით მინდა დარჩენა, კლუბის ხელმძღვანელობას კი ერთი წლით უნდა ჩემი აყვანა, ოღონდ საბოლოო გამოსყიდვის უფლებით.

**— თურქეთის შეკრებაზე გოლიც გაიტანე...**

— შეტევებში ხშირად ვერთვები. საერთოდ, სამ საკონტროლო მატჩში პირველ ტაიმს დაცვაში მათამაშებენ, მეორეს კი ნახევარდაცვაში.

**— მარცვალაძეზე რა იცი, მომდევნო შეკრებაზე გუნდთან ერთად იქნება?**

— კი. მარცვალაძე ფეხს მკურნალობდა და ამიტომ გამოტოვა წინა შეკრება, ახლა კი გუნდთან ერთად იქნება. მისი აყვანა ძალიან უნდა „ხარკოვს“ და შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ერთად ვითამაშებთ.

**— ძირითადში მოხვედრის პრობლემა არ გექნება?**

— მწვრთნელს ველაპარაკე ამაზე და პრობლემა არ არის. აბა, თამაშმა თუ არ მომიწია, რა მინდა ისეთ გუნდში?!

**— „ხარკოვი“ უმაღლესი ლიგის ცხრილის ქვედა ნაწილშია. გავარდნა არ დაემუქრება?**

— გამორიცხულია. პირიქით, საკმაოდ გაძლიერდა გუნდი. „კარპატიდან“ სუჩკოვი და ბრაზილიელი ბატისტა დავიმატეთ.

**— ეს კარგი, მაგრამ საქართველოს ნაკრებში კარგა ხანია, აღარ გითამაშია...**

— „ხარკოვში“ ვითამაშებ და იმედია, ნაკრების დრო ისევ მოვა. ისე, ძალიან მომენატრა ნაკრები...

**ილია ნანობაშვილი**

# დინამოს იანვარი: 304

**ფეხბურთის** საერთაშორისო სტატისტიკის ფედერაციამ მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბის რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ერთი ქართული გუნდიც მოხვდა: თბილისის „დინამო“ 304-ე ადგილზეა. ბოლო თვეებში ამ სიაში სხვა ქართული გუნდებიც იყვნენ — „ამერი“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“. დინამოელები კი წინა თვის რეიტინგში ერთი საფეხურით წინ იყვნენ.

რეიტინგის სათავეში კი ესპანური „სევილიაა“, რომლის მერე „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ჩელსი“, „მილანი“ და „ბოკა ხუნიორსი“ მოდიან.

**ილია ნანობაშვილი**

# რას იტყვის პროფლიგა?

**დღეს** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის მორიგი სხდომა გაიმართება და რამდენიმე საინტერესო ამბავზე იმსჯელებენ.

პროფლიგის გამგეობის წევრებმა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი უნდა დაამტკიცონ; განიხილონ პირველლიგელების — რაჭის „ფაზისისა“ და ტყიბულის „მეშახტეს“ ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი და ასევე უმაღლეს ლიგაში მატჩების ჩაშლის შემთხვევაში დამნაშავე კლუბებისთვის სასჯელის გამკაცრებისა და ჯარიმების გაზრდის შესაძლებლობა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

გამგეობის სხდომაზე, შესაძლოა, ჩემპიონატის პრემიალური ფონდის გუნდებისთვის განაწილებაზეც ითქვას. როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის გუნდების წახალისების მიზნით პროფლიგის ფონდიდან თანხები პროცენტულად გადანაწილდება.

რაც შეეხება „ფაზისსა“ და „მეშახტეს“. მათ უკვე კარგა ხანია, პროფლიგის დავალიანება აქვთ, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა არ დაუფარავთ და ამის გამო, შესაძლოა, პირველობიდან მოკვეთონ კიდეც. პროფლიგამ ორივე კლუბი აქამდე რამდენჯერმე გააფრთხილა, მაგრამ...

ვნახოთ, ამ ამბებზე დღეს ისაუბრებენ და მერე პროფლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და გენმდივანი პაატა ბურჯალიანი პრესკონფერენციას მოაწყობენ.

**ლუკა თალაკვაძე**

# სიონისთვის ბათუმამდე ამერია

## ჩასემი ბოლნისში დაბრუნდა

**კიდევ** ერთი ამხანაგური მატჩი გამართა ბოლნისის „სიონმა“ სოფელ რატევანში და პირველლიგელ თბილისის „ოლიმპიკს“ 4:1 სძლია. „სიონმა“ პირველი ნახევარი 1:0 მოიგო დავით სვანიძის გოლით. მეორე ტაიმის საწყის წუთებში ბესიკ ქარდავამ პენალტით გაიტანა, მატჩის მიწურულს კი მალხაზ ოქროპირიძემ და ლევან შავგულიძემ იყოჩაღეს.

ბერშევას „ჰაპოელს“ თავი ვერ მოაწონა ერიკ რომეო ჩასემმა, უკვე ბოლნისშიც დაბრუნდა და ამ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა — ჩასემი სეზონის ბოლომდე „სიონში“ იქნება.

„სიონმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, გ. ოქროპირიძე, სვანიძე, ფრიდოლინი, შავგულიძე, სანიკიძე, ბ. ნოზაძე, ლ. ბაჯელიძე, ჩასემი, შ. ჯიქია.*

*მეორე ტაიმში შევიდნენ: გავაშელი, ტუხაშვილი, შაიშმელაშვილი, ზ. ავალიანი, მ. ოქროპირიძე.*

გიორგი ყიფშიძე დღეს თავის გუნდს „ამერს“ გააჯიბრებს, 8 თებერვალს კი ბათუმში წაიყვანს 12-დღიან შეკრებაზე.

რამდენიმე დღე „სიონთან“ ერთად ვარჯიშობდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები — ირაკლი ჩირიკაშვილი და ნიკა გუგავა, თუმცა კლუბების ხელმძღვანელებმა ველარ მოილაპარაკეს და ისინი ბოლნისიდან წავიდნენ.

**ნუკრი ლოლაძე**



# საქართველო — რუსეთი გუს ჰიდინკმა ჩაშალა

## ჰოლანდიელი მწვრთნელი სერიოზულობამ შეაშინა

**„ამხანაგური** მატჩის გამართვას გვთავაზობდნენ სომხეთი და საქართველო, მაგრამ გუს ჰიდინკს შეეშინდა, რომ ისინი ძალიან სერიოზულად მიუდგებოდნენ საქმეს და ტრავმების რისკი იზრდებოდა“ — განუცხადა რუსულ „სპორტ-ექსპრესს“ საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ევგენი კალაკუცკიმ.

დიახ, ასეთი ვარიანტი თურმე ყოფილა, მაგრამ რუსებს უარი უთქვამთ. მიზეზზე კი უკვე მოგახსენეთ...

არადა, საინტერესო კი იქნებოდა რუსებთან გაჯიბრება, თუმც სიმართლე ითქვას, ჩვენებს წლეულს ისედაც კარგი სპარინგები აქვთ დაგეგმილი და მით უკეთესი, რუსები თუ ასე ფიქრობენ ჩვენზე...

**კახა ზალამბერიძე**

# ჩვენი მეტოქეები: ისეთიც და ასეთიც

**საქართველოს** ნაკრების მეტოქე მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ეტაპზე, იტალიის ეროვნული გუნდი, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება და ხვალ ციურიხში ამხანაგურად პორტუგალიის ნაკრებს გაეჯიბრება.

„აზურის“ შემადგენლობაში ერთი დებიუტანტია — ჯენოელი მარკო ბორიელო, რომელიც რობერტო დონადონიმ ბოლო დროს ათამაშებულ ალესანდრო დელ პიეროსა და ანტონიო კასანოს ამჯობინა.

პორტუგალიელებთან მატჩისთვის დონადონიმ „ძველებთან“ ერთად, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც მიიწვია, რომელთაც სხვადასხვა დროს, თუმც იშვიათად, მოურგია ნაკრების მაისურა.

დონადონის რჩეულთა 20-კაციანი ნუსხა კი ასეთია:

***მეკარეები:*** *მარკო ამელია (ლივორნო), მორგან დე სანქტისი (სევილია, ესპანეთი);*

***მცველები:*** *ანდრეა ბარძალი (პალერმო), მარიო კასეტი (რომა), მარკო მატერაცი (ინტერი), მასიმო ოდო (მილანი), ფაბიო კანავარო (რეალი, ესპანეთი), ჯანლუკაძამბროტა (ბარსელონა, ესპანეთი), ფაბიო გროსო (ლიონი, საფრანგეთი);*

***ნახევარმცველები:*** *მასიმო ამბროზინი, ანდრეა პირლო (ორივე მილანი), ალბერტო აკუილანი, დანიელე დე როსი, სიმონე პეროტა (ყველა რომა), ფრანკო სემიოლი (ფიორენტინა);*

***თავდამსხმელები:*** *მარკო ბორიელო (ჯენოა), ანტონიო დი ნატალე, ფაბიო კვალიარელა (ორივე უდინეზე), რაფაელე პალადინო (იუვენტუსი), ლუკა ტონი (ბაიერნი, გერმანია).*

პორტუგალიის ნაკრები კი ჩვენებს ამხანაგურად 31 მაისს შეხვდება. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, ლუიშ ფელიპე სკოლარის რჩეულებიც შემოგვეთავაზებინა:

***მეკარეები:*** *კიმი (ბენფიკა), რიკარდუ (ბეტისი, ესპანეთი), რუი პატრისიუ (სპორტინგი);*

***მცველები:*** *ბრუნო ალვეში, ბოსინგვა (ორივე პორტუ), ჟორჟე რიბეირუ (ბოავიშტა), ფერნანდუ მეირა (შტუტგარტი, გერმანია), კანეირა (ვალენსია, ესპანეთი), პაულუ ფერეირა, რიკარდუ კარვალიუ (ორივე ჩელსი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *პეტიტი (ბენფიკა), რაულ მეირელეში (პორტუ), დეკუ (ბარსელონა, ესპანეთი), მანიშე (ინტერი, იტალია), კრიშტიანუ რონალდუ, ნანი (ორივე მანჩესტერი, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *მაკუკულა (მარიტიმუ), ნუნუ გომეში (ბენფიკა), კვარესმა (პორტუ);*

სკოლარის ამ მატჩისთვის არ გამოუძახებია სიმაო, ანდრადე, მიგელი, ტიაგო და უგო ვიანა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გამოიბამს ვენეიბლზი სამ ყურს?

**ქართველთა** მეტოქე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ირლანდიის ნაკრები, ისევ უმწვრთნელოდაა, თუმც „სამყურების“ ფეხბურთის ასოციაცია ამ საქმეს ათ დღეში დაადგამს თავს.

ირლანდიური პრესის ცნობით, მთავარი კანდიდატი ტერი ვენეიბლზია, რომელიც ბოლოს ინგლისის ნაკრებში სტივ მაკლარენის თანაშემწედ მუშაობდა.

თუ ვენეიბლზი დაინიშნა, მისი ოფიციალური დებიუტი 6 სექტემბერს სწორედ საქართველოს ნაკრებთან შედგება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

Africa Cup of Nations
GHANA 2008

**მეოთხედფინალი**

**კოტ დივუარი 5:0 გვინეა**

1:0 კეიტა (25), 2:0 დროგბა (70), 3:0, 4:0 კალუ (73, 81), 5:0 ბ. კონე (86)

**კოტ დივუარი:** ბარი, მეიტე, ბოკა, ზოკორა, ებუე, კოფი ნდრი, ი. ტურე, კეიტა (ფაე 74), კალუ, დინდანე (ა. კონე 70), დროგბა (ბ. კონე 76)

**მწვრთნელი:** ჟერარ ჟილი

**გვინეა:** კ. კამარა, ბა, ზაიატი (კალაბანე 82), ი. კამარა, ჟაბი, დიალო, ჯონსონი (სუმა 67), საკო, ბანგურა, მანსარე, იულა (კ. სისე 60)

**მწვრთნელი:** რობერ ნუზარე

**გაფრთხილება:** ზაიატი, ი. კამარა

**მსაჯი:** ჯამელ ჰაიმუდი (ალჟირი)

30 000 მაყურებელი

**ეგვიპტე 2:1 ანგოლა**

1:0 აბდ რაბუ (23პ), 1:1 მანუშუ (27), 2:1 ზაქი (38)

**ეგვიპტე:** ალ ჰადარი, მოჰამედი, ჰ. საიდი, გომაა, მოავადი (ფათალა 65), აბდ რაბუ, შავქი, ფათჰი, აბუთრიქა (ი. საიდი 90), მოთაები, ზაქი (ჰასანი 71)

**მწვრთნელი:** ჰასან შეჰატა

**ანგოლა:** ლამა, აიროსა, კალი, აშა, რუი მარკეში, ანდრე, მაურიტუ (მენდონსა 46), ჟილბერტუ, ზე კალანგა (მატეუში 72), ფლავიუ (ედსონი 84), მანუშუ

**მწვრთნელი:** ლუიშ ოლივეირა გონსალვეში

**გაფრთხილება:** ანდრე, გომაა, აბუთრიქა, ფლავიუ

**მსაჯი:** იუიჩი ნიშიმურა (იაპონია)

32 000 მაყურებელი

# გახედნავენ ფარაონები სპილოებს?


ეგვიპტე ნახევარფინალში ამრ ზაქის (№19) გოლმა გაიყვანა

**აფრიკის** ეროვნებათა თასის რიგით მეორე მეოთხედფინალური მატჩის საბოლოო შედეგმა პროგნოზების მოყვარულთა წინასწარმეტყველებანი სრულად დააკმაყოფილა. ერთ მხარეს ბრწყინვალე კოტდივუარელები იდგნენ, ხოლო მათი მეტოქე ალბათ ყველაზე სუსტი მეოთხედფინალისტი იყო, თანაც ამ მატჩში გვინეის ნაკრებმა ტრავმების გამო ორი ძირითადი ცენტრალური მცველი მოისაკლისა: ბობო ბალდე და უმარ კალაბანე. თუმცა, საეჭვოა, „ეროვნულ სპილოებად“ წოდებული გვინეელები თავის მეტოქეებს თუნდაც ამ ორი ფეხბურთელის დამატებით დააკლებდნენ რამეს. კოტდივუარელი „სპილოები“ მიმდინარე ტურნირზე ყველაზე შტამბეჭდავ, შემტევ და ამავდროულად დაცვაშიც ძალზე დაბალანსებულ თამაშს დემონსტრირებენ.

მოკლედ, ამ მატჩში დიდი ბრძოლა არც ყოფილა. გვინეელებმა 25-წუთიან სასტარტო შტურმს გაუძლეს, შემდეგ კი აბდელქადერ კეიტამ მათი დაცვა გაარღვია და ანგარიში გახსნა. ტაიმის მეორე ნახევარი უგოლოდ დასრულდა, ისევე როგორც მეორე ტაიმის პირველი ნახევარი, 70-ე წუთიდან მოყოლებული კი ჟერარ ჟილის ბიჭებმა საწყალი კემოკო კამარას კარი კიდევ ოთხჯერ დალაშქრეს. მოკლედ, კოტ დივუარის ნაკრებმა ნახევარფინალის საგზური დაუძაბავად მოიპოვა. პლეი ოფის მომდევნო სტადიაზე კი ჟერარ ჟილის გუნდს გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება — აფრიკის ეროვნებათა თასის ამჟამინდელი მფლობელი ეგვიპტის ნაკრები.

გუშინ „ფარაონებმა“ ქალაქ კუმასის სტადიონ „ბაბა იარაზე“ გამოცდა ანგოლის ნაკრებისგან ჩაიბარეს. ორი წლის წინათ ჰასან შეჰათამ ეგვიპტის ნაკრები მშობლიურ სტადიონებზე ჩემპიონობამდე მიიყვანა და ჩრდილოაფრიკელები მიმდინარე ტურნირზეც უმთავრეს ფავორიტთაგანნი არიან, ოღონდაც ორი წლის წინანდელისგან განსხვავებით, შეჰათას გუნდს გამოკვეთილი ლიდერი, აჰმედ ჰოსამ მიდო აკლია, რომელმაც მძიმე ტრავმა ახლახან მოიშუშა და ეროვნულ გუნდს განაში არ გაჰყოლია.

ეგვიპტელები საკმაოდ სოლიდურ ფეხბურთს მიდოს გარეშეც თამაშობენ. გუშინ მათი ძალა საკუთარ ტყავზე „შავმა ანტილოპებმაც“ გამოსცადეს. ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ანგოლის ნაკრები ბოლო ხანს მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის, რასაც თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ ამ გუნდის შეტევათა ლიდერი მანუშუ თვით „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრია. სწორედ მანუშუმ აანერვიულა შეჰათა, როცა 27-ე წუთზე ოთხიოდე წუთით ადრე ჰოსნი აბდ რაბუს მიერ გატანილი პენალტი გაქვითა. მართალია, სულ მალე ამრ ზაქიმ ეგვიპტელები მეორედ დააწინაურა, მაგრამ მანუშუმ ტაიმის ბოლოსაც და მეორე ტაიმის დასაწყისშიც „ფარაონთა“ დაცვას სერიოზული პრობლემები შეუქმნა და ოდნავ რომ გამართლებოდა, დუბლსაც მიითვლიდა.

მეორე ტაიმის დებიუტში „ანტილოპების“ მთავარმეგოლემ მეკარე ალ ჰადარისთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა — ბურთი კარს ააცილა, ხოლო სულ მალე ეგვიპტელთა კიპერმა იგივე მანუშუს ურთულესი დარტყმა მოიგერია. აი, ამ მომენტის შემდეგ კი ჰასან შეჰათას ბიჭებმა ინიციატივა ხელთ იგდეს და ჩვეული, ლამაზი და კომბინაციური ბურთაობა გააჩაღეს. ეგვიპტურ შუახაზთან ვერგამკლავებულმა ანგოლელებმა კომპენსირებულ წუთებზელა გამოიღვიძეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო — აფრიკის ჩემპიონებმა 2-3-წუთიან შტურმს უპრობლემოდ გაუძლეს და ტიტულის შენარჩუნებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

**სლავა გასპაროვი**


კოტ დივუარი — გვინეა. დიდიე დროგბას საგოლე რეიდი

## პოკრივაჩს სიტყვა გაუთავდა

**„მონაკომ“** ზაგრების „დინამოდან“ ნიკოლა პოკრივაჩი იყიდა, „სან პაულუდან“ — ფაბიუ სანტუშ რომეუ, „დანუბიოდან“ კი ოგნასიო გონსალესი ითხოვა. 22 წლის ხორვატმა საყრდენმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თქვა: „სიტყვებით ვერ აღვწერ ამ სიხარულს. არ მეგონა, ჩემი კლუბი თუ შემელეოდა. ვეცდები, „მონაკოს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი მალე დავიმკვიდრო“. ფაბიუ სანტუში მარცხენა მცველია, ხოლო ურუგვაელი გონსალესი — შემტევი ნახევარმცველი.

## სალომი კუმანს დაემუქრა

**„ვალენსიას“** ახალმა პრეზიდენტმა რაფაელ სალომმა მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კონფლიქტზე ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ რონალდ კუმანმა დავიდ ალბელდა, სანტიაგო კანისარესი, ანგულო გუნდიდან გაუშვა, ხოლო ვილია და ვისენტე მოიძულა და აღარ ათამაშებს. „გამორიცხული არაა ალბელდას, კანისარესის და ანგულოს გუნდში დაბრუნება და მწვრთნელის გამოცვლა — განაცხადა პრეზიდენტმა — ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იქნება იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც კლუბის ისტორია შეუქმნიათ. მათ აუცილებლად შევხვდები და პრობლემის მოგვარებას ვეცდები“.

## რედინგმა ჰანტი გააგრძელა

**ირლანდიის** ნაკრების და „რედინგის“ ნახევარმცველმა სტივენ ჰანტმა, რომლის გადაბირებაც „სანდერლენდს“ სურდა, კლუბთან კონტრაქტი სამწელიწადნახევრით გაახანგრძლივა. ჰანტი „რედინგში“ 2005-ის ზაფხულში „ბრენტფორდიდან“ გადავიდა და სტივ კოპელის გუნდის მთავარ ფეხბურთელად იქცა. ამ სეზონში მან პრემიერლიგის ყველა მატჩში ითამაშა და ექვსი გოლი გაიტანა.

## ჟურავსკის ლარისა

**„სელტიკის“** ფორვარდი მაცეი ჟურავსკი ბერძნულ „ლარისაში“ გადავიდა, რადგან გლაზგოურ კლუბში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. პოლონელი ფეხბურთელი „სელტიკმა“ 2005-ში კრაკოვის „ვისლადან“ შეიძინა და ჟურავსკიმ 73 მატჩში 30 გოლი გაიტანა. პირველ სეზონში თავდამსხმელმა 20 გოლი მიითვალა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე (2006) მიღებულმა ტრავმამ კალაპოტიდან და „სელტიკის“ ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო.

## ფილტვების ანთება

**ჩეხეთის** ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი ავადმყოფობის გამო თავისი გუნდის ამხანაგურ მატჩებს ვერ დაესწრება. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა ვლასტიმილ კოშტალმა განაცხადა, რომ ბრიუკნერს მაღალი სიცხე აქვს და ფილტვების ანთებასაც ეჭვობენ. უკეთესი იქნება, თუ 68 წლის მწვრთნელი შინ დარჩება და იმკურნალებს. ჩეხეთი კვიპროსში დაგეგმილ ტურნირზე საბერძნეთს და პოლონეთს შეხვდება.

## ვანი აქ დარჩება

**მადრიდის** „რეალის“ ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი ხვალ ხორვატიასთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებს დააკლდება. ფეხბურთელი შაბათს, „ალმერიასთან“ შეხვედრაში დაშავდა, რომელიც „რეალმა“ 0:2 წააგო. ჰოლანდიელმა თავდამსხმელმა ამ სეზონში 12 ბურთი გაიტანა და გუნდის მთავარმეგოლეა. კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ვან ნისტელროი მადრიდში დარჩება და იმკურნალებს.

## სლოვაკეთმა მცველი აღიარა

**სლოვაკეთის** 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელად „ლივერპულის“ მცველი მარტინ შკრტელი აღიარეს, რომელიც ინგლისურმა კლუბმა იანვარში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტიდან“ შეიძინა. 23 წლის შკრტელმა მწვრთნელებისა და ჟურნალისტების გამოკითხვაში 323 ქულა მოაგროვა. „მცველებს ასეთი პატივი იშვიათად ხვდებათ და ამდენად, ჯილდო განსაკუთრებულად სასიხარულოა“ — თქვა ფეხბურთელმა. მის სანაცვლოდ „ლივერპულმა“ 6,5 მილიონი გირვანქა გაიღო, რაც კლუბისთვის მცველში გადახდილი სარეკორდო თანხაა.

## რიბერის საეჭვო მუხლი

**„ბაიერნისა“** და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა ფრანკ რიბერიმ, შესაძლოა, ზეგ ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშოს. ფეხბურთელმა პარასკევს „ჰანზასთან“ გოლი გაიტანა, მაგრამ მუხლის ტკივილმა შეაწუხა და პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. ექიმის თქმით, რიბერის მუხლის მყესი დაუზიანდა და გამორიცხული არაა, უეფას თასზე „აბერდინთან“ პირველი შეხვედრაც (14 თებერვალს) გამოტოვოს. 24 წლის ფრანგს ნაკრებში 24-ჯერ უთამაშია.

## აგეროს ლოს ანჯელესი ჩაეშალა

**არგენტინის** ნაკრებს გვატემალასთან ამხანაგურ მატჩში მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი სერხიო აგერო ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა კვირას „მურსიასთან“ მატჩში ფეხი იტკინა და ერთკვირიანი მკურნალობა სჭირდება. კლუბმა განაცხადა, რომ აგერო ვერ გაემგზავრება ლოს ანჯელესში, სადაც არგენტინა გვატემალას შეხვდება. „ატლეტიკოს“ ფორვარდმა ამ სეზონში ცხრა გოლი გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ბექემი, ბუშტი და ძმაკაცი

## როლანდო ბიანკი ინგლისურად წავიდა

**ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრების თავკაცის რანგში თავის პირველ შეხვედრაში სათამაშოდ დევიდ ბექემი რომ არ გამოიძახა, თავიდან, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა და გულიც დამწყდა, თუმცა შემდეგ გავიგე: სადღეისოდ ბექემი კარგ ფორმაში არ არის — ეს სიტყვები „მანჩესტერ სიტის“ ყმაწვილ მცველს მაიკ რიჩარდსს ეკუთვნის. მოგახსენებთ, რომ რიჩარდსი, გარდა იმისა, რომ ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავია, BBC-ს ვებგვერდზე მესვეტეც გახლავთ და პერიოდულად თავის მოსაზრებებს წერს.

რიჩარდსი განაგრძობს: ფეხბურთელები სანაკრებო თამაშებს ისე უბრალოდ არ უნდა ატარებდნენ, თითოეული მათგანი ყოველ კონკრეტულ შეხვედრაში მონაწილეობას უნდა იმსახურებდეს. დევიდიც ფორმაში რომ ყოფილიყო, დღეს, ვფიქრობ, გუნდში იქნებოდა. არ მჯერა, რომ მას მაინც არ გამოიძახებდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის მე-100 სანაკრებო შეხვედრას მაინც ჩაატარებს და მეტიც, როგორც კი რეგულარულად თამაშს დაუბრუნდება, კარგ ფორმაშიც შევა.

იმის თქმა, რომ რადგან ბექემი ამერიკაში თამაშობს, ნაკრებში აღარ უნდა გამოიძახონ, რასაკვირველია, სწორი არ არის, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მას, ამერიკა, ნაკრებში მოხვედრაში ხელს უშლის. იქ, ოკეანის გაღმა, დევიდი საკმარისი რაოდენობით ნამდვილად ვერ თამაშობს. სხვა ამბავია, რომ ყველანი ვხედავთ — ბექემი კვლავ მაღალი დონის ფეხბურთელია და ვიმედოვნებთ, რომ მალე დაგვიბრუნდება, რადგან მისი ოსტატობა ჩვენს ეროვნულ გუნდს ჯერ კიდევ კარგა ხანს წაადგება. ის ჩვენი ნაკრების მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

რაც შემეხება მე, ჩემი გამოძახების შესახებ ხუთშაბათს, შემადგენლობის ოფიციალურად დასახელებამდე რამდენიმე საათით ადრე გავიგე — ფეხბურთის ასოციაციიდან მესიჯი მივიღე, სადაც ეწერა, რომ მე 30-კაციან სიაში ვარ შეყვანილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ 23 კაცში მოსახვედრად კიდევ მჭირდებოდა ძალისხმევა.

ნამდვილად არ ვიცოდი, რომ ფაბიო კაპელო შაბათს „მანჩესტერ სიტისა“ და „არსენალის“ შეხვედრაზე აპირებდა დასწრებას, ამიტომ მისი დანახვა ძალიან მესიამოვნა — არა მგონია, მას ჩემი თამაში ოდესმე ცოცხლად ჰქონოდა ნანახი. სამწუხაროდ, მუხლის ტრავმის გამო „სიტის“ ორი მატჩი გამოვტოვე, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვალა და საქმე კარგად მიდის. სკამიდან „მანჩესტერ სიტის“ თამაშების ნახვა ძალიან გამიჭირდა, განსაკუთრებით კი, „შეფილდ იუნაიტედთან“ სათასო წაგების ცქერა ვერ ავიტანე.

იმ შეხვედრიდან გონებაში შეფილდელების პირველი გოლი ჩამებეჭდა, როდესაც ბურთი ბუშტს მოხვდა და გოლი ამის მერე გავიდა. ბუშტები უამრავი საფეხბურთო მატჩის დროს მინახავს, მაგრამ გოლის მიზეზად თუ იქცეოდნენ, რას წარმოვიდგენდი. ამისი შანსი, მილიონიდან ერთი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის ასოციაციის თასიდან გავარდნა ძალიან სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ მე ეს შეჯიბრება მიყვარს. სხვათა შორის, ასევე დათრგუნულად ვიგრძენი თავი შობის წინ, როდესაც „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „კარლინგის თასიდან“ გამოგვაგდო, მაგრამ სხვა რა გზაა, უნდა გავმხნევდეთ და პრემიერლიგას მივაწვეთ, თან, აუცილებლად გავითვალისწინოთ ის გაკვეთილები და დადებითი მომენტები, რაც ამ თამაშებმა, მაგალითად, 30 იანვარს „დერბისთან“ ფრემ მოგვცა.

ამ შეხვედრაში, „დერბის“ კარში გოლი დენიელ სტარიჯმა გაიტანა. დენი ჩემი მეგობარია და მისი გოლი ძალიან მახარებს. დენი თავის დროს ელოდებოდა, საშინელმა ტრავმამ მას ექვსი თუ შვიდი თვე გააცდენინა, მაგრამ აი, ის დაბრუნდა და ორ შეხვედრაში ორი გოლი გაიტანა. ხალხმა მის შესახებ ჯერ შეიძლება ბევრი არც იცის, მაგრამ მე მის მხარდამხარ უამრავჯერ მითამაშია და ვიცი, რა შესაძლებლობების პატრონიცაა. არ მინდა ზედმეტად შევაქო, მაგრამ მისი მომავლისა მწამს და კარგი პარტნიორიც თუ გამოუჩნდება, ის „მანჩესტერ სიტის“ მთავარი ბომბარდირი შეიქნება.

სხვათა შორის, დენმა თავისი შანსი ნაწილობრივ იმიტომაც გამოიყენა, რომ ერთი კვირის წინ როლანდო ბიანკი „ლაციოში“ გავანათხოვრეთ. ამასთან, ძალიან მწყინს ბიანკი რომ დაგვშორდა.

როდესაც შენი გუნდიდან ფეხბურთელი მიდის, ეს ყოველთვის საწყენია, მაგრამ როდესაც ის ასე სწრაფად მიდის, გასაკვირიც არის. მისი საქმე ისე სწრაფად გაიჩარხა, რომ ხეირიანად გამომშვიდობების საშუალებაც კი არ მოგვეცა. თუმცა, მე მას ამ კვირაში დავურეკე და მჯერა, მალე ისევ ვნახავთ ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ როლანდო ჩვენს გუნდში ძალიან პოპულარული ბიჭია და თუ ინგლისსა და ინგლისურ ფეხბურთს ვერ შეეგუა, იმას ვერავინ დასწამებს, რომ ყველა ღონე არ იხმარა.

**პაპუნა ძედია**





წერილის წაკითხვისას ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, თუ როგორ გავიდა გოლი ჩვეულებრივი ბუშტის დახმარებით. ასე იყო: თამაშის დროს მანჩესტერელთა საჯარიმოში ათზე მეტი ბუშტი ეგდო, რომელთა მოედნიდან გატანა ან თუნდაც გახეთქვა, არავის მოსვლია აზრად. შეფილდელთა ერთ-ერთი იერიშისას, ფლანგიდან ჩაწოდებული დაბალი ბურთი ბუშტს მოხვდა, მიმართულება სულ ოდნავ შეიცვალა და მცველმა მოქნეული ფეხი ააცილა. ამის მერე ბურთი თავდამსხმელს მიუვიდა და გაიტანა.




# ჰიცფელდის სურათი

## ყოველი მარცხი ჩემს სახეზე რომ არ აღბეჭდილიყო, ვერასოდეს მივაღწევდი იმას, რასაც მივაღწიე

ოტმარ ჰიცფელდს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 30 ივნისს უმთავრდება. მისი შემცვლელი უკვე ნაპოვნია — 1 ივლისიდან გუნდს იურგენ კლინსმანი ჩაიბარებს. ჰიცფელდს შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელობა კვირას ოფიციალურად შესთავაზეს. იგი უკვე მოლაპარაკებაზეც გახლდათ ჟენევაში და ალბათ დაყაბულდება. სანამ შვეიცარიას ჩაიბარებს, „ბაიერნში“ საქმე აქვს დასამთავრებელი — გუნდს ბუნდესლიგა და უეფას თასი უნდა მოაგებინოს. გთავაზობთ ოტმარ ჰიცფელდის ინტერვიუს „ალგემაინე ცაიტუნგთან“, რომელიც მიუნხენური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა

**— ალბათ შვებას გრძნობთ იმის გამო, რომ ხუთ თვეში „ბაიერნიდან“ წახვალთ...**

— ამაზე არ ვფიქრობ და მუშაობას ვაგრძელებ. კლუბთან კონტრაქტი მაქვს და ვალდებული ვარ, ბოლომდე დავიხარჯო.

**— ზოგჯერ თქვენზე ისე საუბრობენ, როგორც პენსიონერზე, არადა, ჯანს არ უჩივით...**

— კარგი ფიზიკური ფორმა უნდა შევინარჩუნო. მთავარია, დარჩენილ ხუთ თვეში ძალა და მოტივაცია არ მომაკლდეს. კიდევ ერთი ან ორი წელი რომ მქონდეს დარჩენილი, გამიჭირდებოდა. ამიტომ არც ისე გადატვირთული ვარ და მუშაობა მსიამოვნებს.

**— ახლა დარჩენილ ხუთ თვესა და იმ პერიოდს შორის სხვაობა თუ არის, როცა 2004-ში „ბაიერნიდან“ წახვედით?**

— მაშინ გამოფიტული ვიყავი, რადგან „ბაიერნში“ გატარებულმა ოთხმა სეზონმა არაქათი გამომაცალა. 2002-დან 2004 წლამდე კლუბში მუშაობა სიამოვნებას აღარ მანიჭებდა. ამდენად, მაშინდელ ვითარებას ახლანდელს ვერ შევადარებ.

**— არის თუ არა მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ახლა გუნდიდან წასვლა თავად გადაწყვიტეთ და ეს საკითხი სეზონის დასრულებამდე ნახევარი წლით ადრე მოგვარდა?**

— გადაწყვეტილების მიღებისას თავისუფალი მაშინ ხარ, როცა ცხოვრების ნახევარი გავლილი გაქვს და კარიერაში რაღაცას მიაღწიე. ასეთი თავისუფლება ადრე არ მქონდა, რადგან მწვრთნელი ყოველთვის ვერ აირჩევს კლუბს, სადაც მუშაობა სურს. აქედან გამომდინარე, ახლა მიხარია, რომ არჩევანის უფლება მქონდა და წასვლა თავად გადავწყვიტე.

**— საზოგადოების თვალში ოტმარ ჰიცფელდი ნამდვილია თუ თავს სხვა ადამიანად ასაღებს?**

— ზოგს ჩემზე სწორი წარმოდგენა აქვს, ზოგს კი მცდარი. არ მსურს, რომ მედია ჩემს პირად ცხოვრებაში, სამყაროში შემოიჭრეს. ამიტომ ხანდახან მეცინება, როცა ჰიცფელდზე საზოგადოების აზრს ვეცნობი.

**— თქვენი სახის გამომეტყველებით ადამიანი ადვილად მიხვდება, როგორ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაში ხართ. ეს არ გაღიზიანებთ?**

— არა, სახე ხომ ჩემი ნაწილია. 20 წლის წინ შვეიცარიაში ერთმა ჩემმა კოლეგამ მითხრა, არცერთ ადამიანს ისე არ ემჩნევა სტრესის კვალი, როგორც შენო. წარმატება თუ გსურს, მსხვერპლი უნდა გაიღო. ყოველი მარცხი ჩემს სახეზე რომ არ აღბეჭდილიყო, ვერასოდეს ვერ მივაღწევდი იმას, რასაც მივაღწიე.

**— „ბაიერნი“ მუდამ ყურადღების ცენტრშია და ეს მუშაობას არ გირთულებს?**

— მწვრთნელისთვის ძნელია, როცა რომელიმე ფეხბურთელის პირადი ცხოვრების დეტალები მედიაში ხვდება. „ბაიერნს“ 12 მილიონი ქომაგი ჰყავს და თითოეულ მათგანს აინტერესებს, თუ რა ხდება კლუბში. ინფორმაცია ძვირად ფასობს და თან ფეხბურთელების საბაზრო ფასიც იზრდება. ასეთ ვითარებაში მუშაობა იოლი არაა, მაგრამ მწვრთნელმა ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიოს.

**— თქვენ იურგენ კლინსმანი შეგცვლით. ამ ამბავს როგორ შეხვდით?**

— როგორც კი გაირკვა, რომ მე ზაფხულში წავიდოდი, მაშინვე დაიწყო ჭორაობა ჩემს შემცვლელზე. „ბაიერნის“ მომავალი მწვრთნელი მალე იპოვეს და ამან დამამშვიდა, რადგან მითქმა-მოთქმა შეწყდა.

# კონტრაქტი!

## ფინანსური ტერაქტი რეალის წინააღმდეგ

**კრიშტიანუ რონალდუ** მალე პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე დიდჯამაგირიანი ფეხბურთელი გახდება — „მანჩესტერ იუნაიტედი“ პორტუგალიელ ვარსკვლავს 44-მილიონიან კონტრაქტს სთავაზობს. ბუნებრივია მიხვდით, რომ გირვანქებზეა ლაპარაკი, რაც ევროებში 58,327, ხოლო ამერიკულ დოლარებში 86,622 მილიონია.

ერთი სიტყვით, ასეა: რონალდუ მანჩესტერელებს 2014 წლამდე გაურიგდება და კვირაში 140 ათას გირვანქას მიიღებს — 185,588 ათასი ევრო, 275,618 ათასი ამერიკული დოლარი.

ასე და ამგვარად, 23 წლის გარემარბი ხელფასით გადაასწრებს „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის, რომელიც კვირაში 130 ათას გირვანქას იღებს და აქამდე რეკორდსმენად ითვლებოდა.

The News of the World-ი ხაზს უსვამს, რომ ასეთი ჯამაგირი, ანუ ყოველწლიური შემოსავლის მხრიდან რომ მივუდგეთ, წელიწადში 7 მილიონი გირვანქა, პორტუგალიელს მის ინგლისელ თანაგუნდელებზე, რიო ფერდინანდსა და უეინ რუნიზე მაღლა აყენებს.

სხვათა შორის, როგორც ხსენებული გაზეთი ამტკიცებს, სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეპატრონეთა ოჯახს, გლეიზერებს, კლუბის სახელფასო პრინციპების გადასხვაფერების ნება მხოლოდ ახლა მისცა. ამბობენ იმასაც, რომ რონალდუ ახალ კონტრაქტზე ხელს ზაფხულამდე არ მოაწერს — გარემარბმა „იუნაიტედთან“ წინა კონტრაქტს ხელი დიდი ხანი არ არის, რაც მოაწერა და ამჟამინდელი ხელშეკრულება 2012 წლამდეა ძალაში.

მაშ, რა საჭირო იყო ახალი ხელშეკრულების გაფორმება და ამხელა ფულის გადახდა? საქმე ის გახლავთ, რომ სერ ალექს ფერგიუსონს პორტუგალიელი ყმაწვილი საგანგებო ვარსკვლავად მიაჩნია და ყველა ღონეს ხმარობს, რათა „მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი ლეგენდის, ჯორჯ ბესტის რეკორდი, სეზონში 33 გოლი, დაამხობინოს. ცნობისთვის: მიმდინარე სეზონში რონალდუმ 27 გოლი უკვე გაიტანა.

გარდა ამისა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ სხვა გეგმაც აქვს: ინგლისის ჩემპიონს არ სურს, რონალდუ მადრიდის „რეალმა“ წაართვას და ამის საწინააღმდეგოდ „მინდორს ნაღმავს“. დამალული არ არის, რომ პორტუგალიელი ვარსკვლავი მადრიდელთა ოცნების საგანია და ამ თემაზე ესპანური პრესა მალიმალ აცხობს წერილებს თუ ახალ-ახალ ცნობებს.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ ხელფასის მომატებით, თითქოს, კიდევ ერთ მოსალოდნელ საფრთხეს გადაუღობა გზა: სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილი წესით (ასაკიდან და „მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებული წლების რაოდენობიდან გამომდინარე), რონალდუს ორი წლის შემდეგ უკვე შეუძლია დარჩენილი ხელფასი გადაიხადოს და თავი გამოისყიდოს. სხვა სიტყვებით, ამხელა ვარსკვლავმა 10 მილიონი რომ გადაიხადოს, თავისუფალია...

**პაპუნა ძიძია**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რონალდუსა და ბესტის შედარებითი დახასიათება

**ჯორჯ ბესტისა და კრიშტიანუ რონალდუს შედარება გარდაუვალია, რადგან 22 წლის პორტუგალიელი ამ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობს და მატჩიდან მატჩამდე უმატებს. 2005 წლის ბოლოს მე ვიყავი იმ სამ ჟურნალისტთაგან ერთ-ერთი, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომისშემდგომი „მანჩესტერის“ 50 საუკეთესო ფეხბურთელის ამორჩევა სთხოვეს მორიგი წიგნისთვის**



ყველაზე რთული გახლდათ არჩევანის გაკეთება ამჟამინდელ ფეხბურთელებში, განსაკუთრებით კი მათ შორის, რომელთა კარიერაც კლუბში ახლო წარსულში დაიწყო. კრიშტიანუ რონალდუმ თავი ამატკივა. სიფრთხილის გამო იგი 39-ე ადგილზე ჩავწერე, არტურ ალბისტონის შემდეგ და ენდი კოულზე ორი საფეხურით მაღლა. არაობიექტური, გადაჭარბებული შეფასება ან არასათანადოდ დაფასება — აი, რა არის თანამედროვე ფეხბურთმცოდნეების უდიდესი ლტოლვა. ახლაც კი ნახავთ რონალდუსადმი სკეპტიკურად განწყობილ ჟურნალისტებს, მაგრამ მათი რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს, ხოლო ოპტიმისტებისა — მატულობს.

26 მატჩში გატანილი 23 გოლით (სტატია დაწერილია „ტოტენჰემთან“ სათასო შეხვედრის წინ) და დარჩენილი, სულ მცირე, 18 მატჩით, რონალდუს ჯორჯ ბესტის რეკორდის (33 გოლი 1967-68 წლების სეზონში) გაუმჯობესების შანსი აქვს. ეგებ ჩემი ვარაუდი ნაადრევად მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც არსებობს საფუძველი იმისა, რომ ეს ფეხბურთელები ერთმანეთის გვერდით დავაყენო და შევადარო.

„მანჩესტერის“ ისტორიაში ჯორჯ ბესტის შემდეგ ბევრი „ახალი ბესტი“ გამოჩენილა, მაგრამ რონალდუ განსაკუთრებულია. „კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერის“ ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომლის თამაშის ნახვის შემდეგაც გავიფიქრე, ღმერთი ჩემო, ეს ბიჭი იმდენად ნიჭიერია, რომ ოდესღაც ეგებ ჯორჯ ბესტსაც შეადარონ — თქვა პორტუგალიელის ფეხბურთისგან მოხიბლულმა, ბესტის უახლოესმა მეგობარმა და თანაკლუბელმა პედი კრერანდმა — მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: მეტოქის იოლად მოტყუება და ორივე ფეხით კარგად დარტყმა. კრიშტიანუ, ისევე როგორც თავის დროზე ჯორჯი, თავით საუცხოოდ თამაშობს. მეტიც, რონალდუ ისეთივე „თავხედია“ მოედანზე, როგორიც ჯორჯი იყო. ცხოვრებაში ბევრი ვარსკვლავის თამაში მინახავს, მაგრამ ვაღიარებ — განსაკუთრებულად ვღელავ, როცა „ოლდ ტრაფორდზე“ მივდივარ და ვიცი, რომ კრიშტიანუ რონალდუს თამაშს ვიხილავ“.

რონალდუ წინა სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ცნეს. იგი ინგლისის ჩემპიონი გახდა და ასოციაციის თასიც მოიგო. კრიშტიანუს ყველა აფასებს და ეს აღიარება 22 წლისამ მოიპოვა (პორტუგალიელი დღეს 23-ის შესრულდება), მაგრამ ვერ გაუტოლდება ჯორჯ ბესტს, რადგან ჩრდილოირლანდიელი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, როცა 22-ის იყო. მას უკვე ჰქონდა მოგებული ჩემპიონთა თასი, ორჯერ პრემიერლიგა და საშუალოდ ყოველ მესამე მატჩში გოლი გაჰქონდა. ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში მადრიდის „რეალთან“ გაიტანა, ხოლო ფინალში „ბენფიკასთან“ ფინტებით დახაზა მოედანი და „მანჩესტერის“ ისტორიაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ბესტის ევრომონაგარს თუ შევადარებთ, კრიშტიანუ რონალდუ „ღარიბია“, მაგრამ შარშან ჩემპიონთა ლიგაში „რომას“ წყვილი გაუტანა და ამის დაუფასებლობა არ ეგების. თუკი ბესტი თავის დროზე ეუსებიოს ეჯიბრებოდა, კაკამ რონალდუს პირად შეჯიბრში აჯობა და ბრაზილიელი „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს საუკეთესოდ აღიარა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კაკას „მილანმა“ რონალდუს „მანჩესტერი“ დაამარცხა და თასიც დაისაკუთრა.

რაც შეეხება პორტუგალიელის შინაურ, პრემიერლიგურ მონაგარს, დიდ სამეულთან („ლივერპული“, „ჩელსი“, „არსენალი“) 26 შეხვედრაში სამზე მეტი ვერ გაიტანა.

„პრინციპულ მატჩებში ბესტი ბრწყინავდა. რაც უფრო საპასუხისმგებლო იყო თამაში, ჯორჯი მით უფრო უკეთესად თამაშობდა. კრიშტიანუ ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, მაგრამ უკეთესობა შეიმჩნევა“ — თქვა პედი კრერანდმა.

სანაკრებო დონეზე თუ შევაფასებთ, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე რონალდუმ ინგლისთან მეოთხედფინალში საუცხოოდ ითამაშა, საფრანგეთთან ნახევარფინალში მთელი პორტუგალიის ნაკრები გაჩერდა და მხოლოდ კრიშტიანუ იბრძოდა.

კვირა ისე არ გავა, ალექს ფერგიუსონმა რონალდუ არ შეაქოს. „მანჩესტერის“ მწვრთნელის აზრით, ფეხბურთში მთავარია, ბურთისთვის ბრძოლის არ შეგეშინდეს. ეს რისკთანაა დაკავშირებული, რადგან შესაძლოა, ტრავმა მიიღო. სერ მეტ ბასბი ამბობდა, რომ ჯორჯ ბესტი უშიშარი იყო და ეს გახლდათ ჩრდილოირლანდიელის მთავარი თვისება. „მართალია, კრიშტიანუს ფეხბურთში ხშირად ურტყამენ, მაგრამ ბესტი საშინელ მოედნებზე თამაშობდა და მეტოქეები მასზე „ნადირობდნენ“. მაშინ ვინმეს უნდა „მოეკალი“, რათა მსაჯს დამნაშავისთვის წითელი ბარათი ეჩვენებინა. კვირაობით ვარჯიშის შემდეგ საშხაპეში რომ შევიდოდით, ჯორჯ ბესტის ჩაშავებულ-ჩალურჯებულ ფეხებს ვხედავდით, მაგრამ მან შიში არ იცოდა და მაინც გულიანად თამაშობდა“ — იხსენებს პედი კრერანდი.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჯორჯ ბესტმა კრიშტიანუ რონალდუზე თქვა: „მანჩესტერში“ მოსული არაერთი ფეხბურთელი მონათლეს ახალ „ბესტად“, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა რონალდუს შედარება კომპლიმენტად მივიღე“.

**ჯონათან ნოსკროფტი**
**სანდი თაიმსი**



ლუიშ ფაბიანოს (მარჯვნივ) ესპანეთში ვულარიკვან აბერუბს

# რეალური წარუმატებლობა

**მადრიდის „რეალმა“ გასულ შაბათს „ალმერიასთან“ 0:2 წააგო და „ბარსელონამაც“ უმთავრესი კონკურენტის მარცხით უმალ ისარგებლა — მართალია, კატალონიელებს „კამპ ნოუზე“ „ოსასუნას“ ძლევა ერთობ გაუჭირდათ, მაგრამ ეს არაა მთავარი, მთავარი ცხრაქულიანი სხვაობის შემცირება იყოო, წერენ ესპანელები. ახლა კი სხვაობა, თუმც მაინც ბევრი, მაგრამ ოდენ 6 ქულაა... ერთი სიტყვით, რა იყო გამორჩეული პრიმერას 22-ე ტურში, ქვემოთ მიმოვიხილოთ**

## გმირი

**უდავოდ** ლუიშ ფაბიანო, „სევილიას“ ბრაზილიელი ფორვარდი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა გასულ უქმეებზე პირენეის ნახევარკუნძულზე, დუბლი რომ შეასრულა — მისმა გოლებმა ანდალუზიელებს უელვაში „რეკრეატივოსთან“ მოაგებინა. ლუიშ ფაბიანო პრიმერას მეგოლეთა დუელშიც წინ გაიჭრა, 16 ბურთით 14-გოლიანი სარაგოსელი დიეგო მილიტო მოიტოვა, 12-იანებზე, ვალიადოლიდელ ხოსება ლიორენტესა და რეალელ რუუდ ვან ნისტელროიზე რომ არაფერი ვთქვათ.

## უიღბლონი

**„რეალმა“** ხომ წააგო და თითქოს, ეს არ ეყოფოდაო, ორი წამყვანი ფეხბურთელიც დაკარგა: რუუდ ვან ნისტელროი და სერხიო რამოსი სერიოზულად დაშავდნენ და ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენი ხნით მოუწევთ უქმობა. ჰოლანდიელმა მარჯვენა მუხლი დაიზიანა, ესპანელს კი კუნთი დაეჭიმა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ვან ნისტელროი ჰოლანდიის ნაკრებს ხორვატიასთან ხვალ გასამართ ამხანაგურ მატჩში ვერ დაეხმარება, აი, რამოსის საკითხს კი ესპანეთის ნაკრების თავკაცი ლუის არაგონესი, სავარაუდოდ, დღეს გაარკვევს.

## სენსაცია?!

**რონალდ კუმანის** „ვალენსიას“ მოგებას პირენეებზე უკვე სენსაციად აღიქვამენ, მაგრამ სენსაციაცაა და სენსაციაც — ესპანელებმა ვალენსიელთა „ვალიადოლიდთან“ სტუმრად მოგება ამგვარად შეაფასეს. რატომ? წლეულს, „ესტადიო ხოსე ზორილაზე“ კვირამდე მხოლოდ „მურსიას“ მოეგო, მაგრამ „ვალენსიასგან“ იგივეს ნამდვილად არავინ მოელოდა: „რეალს“, „ბარსელონას“, „ატლეტიკოს“ და „ესპანიოლს“ იქ არ მოუგიათ, ესენი კი წლევანდელი პრიმერას წამყვანი გუნდები არიან და კუმანის გუნდის იქ მოგებაც ამად გაგვიკვირდაო. და ერთიც: გოლის გემო გაიხსენა ტრავმამოშუშებულმა დავიდ ვილიამ, „ვალენსიას“ უმთავრესმა მეგოლემ მეკარე ალბერტოს 71-ე წუთზე გაუტანა.

## ჯადო

**ახალი წელი** დადგაო და ჯადო შეგვეყარაო — ვინძლო, ასეც ფიქრობენ „ვისენტე კალდერონზე“. ჯადოზე, შავ მაგიაზე თუ მისთანებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია — მადრიდის „ატლეტიკოს“ მეორე წრეში ჯერ თამაში არ მოუგია. ხავიერ აგირეს ბიჭებმა ამჯერად „მურსიას“ ვერ აჯობეს: რომ არა, შეცვლაზე შესული ლუის გარსიას გამთანაბრებელი, სულაც ხახამშრალი დარჩებოდნენ. „ატლეტიკო“ ახლა მეხუთე ადგილზეა და საჩემპიონთა ლიგო ოთხეულს ქულით ჩამორჩება.

## რონალდინიო 200

**კვირას** ისტორიული ფაქტი მოხდა — „ბარსელონას“ ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა რონალდინიომ კლუბში მეორასე მატჩი ჩაატარა. რონი მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა მინდორზე ლეო მესის ნაცვლად შეუშვა „ოსასუნასთან“ მატჩის 67-ე წუთზე და ვინაიდან „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა ფანობამ ეს ამბავი წინასწარვე იცოდა, ბრაზილიელს მხურვალე ოვაციაც მოუწყო.

**გიორგი გუგაძიძე**

# შეუვალი ჟულიო სეზარი

**მილანის „ინტერის“ მეკარე ჟულიო სეზარი სერია A-ს 21-ე ტურში საუკეთესო იყო. მისი წყალობით ლიდერმა „ნერაძურიმ“ მაჩანჩალა „ემპოლის“ მოუგო და მდევრებთან სხვაობა გაზარდა. ოთხეულში მყოფი დანარჩენი სამი გუნდიდან ორმა წააგო, ერთმა კი ფრედ ითამაშა. უფრო დაწვრილებით ყველაფერს channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან შეიტყობთ**



## გამარჯვებულები

***ჟულიო სეზარი (ინტერი)*** — ბოლო პერიოდში „ნერაძური“ არადამაჯერებლად თამაშობს, მაგრამ ქულების მაქსიმალური რაოდენობის დაგროვებას აგრძელებს და გააგრძელებს, სანამ ბრაზილიელი მეკარე ბრწყინვალე ფორმაშია. კვირას მან ლუკა საუდატის პენალტი აუღო და გუნდს გამარჯვება მოუტანა.

***ეზეკიელ ლავეცი (ნაპოლი)*** — „უდინეზეს“ ყველაფერი ერთწუთიან ინტერვალში გატანილი ორი გოლით მოუმთავრა. იგი 76 დღე გახლდათ უგოლოდ და დრო იყო, ნავსი გაეტეხა. ნეაპოლში ძალიან უყვართ თავიანთი ახალი არგენტინელი ვარსკვლავი.

***ალეშანდრე პატო (მილანი)*** — როგორც ჩანს, „იხვმა“ სიტყვა „ზეწოლის“ მნიშვნელობა არ იცის და არანაირ ფსიქოლოგიურ წნეხს არ განიცდის. მან „როსონერისა“ და „ფიორენტინას“ უმნიშვნელოვანეს მატჩში გამარჯვების გოლი შეაგდო და ყოველკვირეულად თავის ფასს სულ მცირე 1 მილიონი ევროთი ზრდის. ისღა დაგვრჩენია, ვირწმუნოთ, რომ პატოს ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგება.

## დამარცხებულები

***პატრიკ ვიეირა (ინტერი)*** — ალბათ ძალიან ძნელია, იპოვო უარესი გზა ტრავმის შემდეგ დიდი ხნის მერე მინდორზე დაბრუნების აღსანიშნავად. გამოცდილმა ფრანგმა სულელური წითელი ბარათი მიიღო და თავისი გუნდი 3 ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა. თან ძირითად შემადგენლობაში მის ნაცვლად დამკვიდრების კარგი შანსი მისცა ნუნუ მანიშეს.

***ჩეზარე ბოვო (ჯენოა)*** — ეს ნამდვილად არ იყო მისი დღე. ჯერ ხელით ითამაშა, რაც მსაჯმა ვერ დაინახა, მერე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და გენუელებს კინაღამ სამი ქულა დააკარგვინა. გარდა ამისა, ძალიან აჭრილი გახლდათ და სერიოზული ტექნიკური წუნი ჰქონდა.

***ლუჩანო სპალეტი (რომა)*** — „ინტერთან“ სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირების მერე ბევრს იმედი გაუჩნდა, რომ „რომა“ სტაბილურად თამაშს გააგრძელებდა და სკუდეტოსთვის ბრძოლას კიდევ უფრო დაძაბავდა, მაგრამ... ლუჩანო სპალეტიმ „სიენასთან“ მატჩისწინა პრესკონფერენციის ნახევარზე მეტი იმაზე ლაპარაკს მიუძღვნა, თუ როგორი სერიოზულობით ეკიდებოდა მისი გუნდი ერთ-ერთ აუტსაიდერ „სიენასთან“ მატჩს. თუმცა შეხვედრის მსვლელობისას ისე ჩანდა, რომ „ჯალოროსი“ ტოსკანელებთან ცალი ფეხით მოსაგებად ჩავიდა და მიიღო კიდეც 3 უპასუხო გოლი.

## გოლები

***ტომაზო როკი (ლაციო)*** — მისი და გორან პანდევის წყვილმა კვლავ ბრწყინვალედ იმუშავა. როკიმ მაკედონიელთან პასები გაცვალა და შორეულ კუთხეში მშვენიერი დარტყმით დაავგვირგვინა ეს კომბინაცია.

***ალეშანდრე პატო*** — ანდრეა პირლომ კაკას უპასა, მან კი ჭკვიანურად გადააწოდა ახალგაზრდა თანამემამულეს, „იხვმა“ ბურთი ჩამოიღო, გაისწორა და ჩინებულადაც დაარტყა, თითქოს, „ფიორენტინას“ მცველები არც კი ყოფილიყვნენ მის გარშემო.

***ჯანპაოლო ბელინი (ატალანტა)*** — ბერგამოელთა მცველის საქმე გოლების გატანა არ არის და ეს ხშირად არც გამოსდის, მაგრამ ამჯერად... ბელინიმ მარჯვენათი დიდებულად გაისროლა, ხოლო „პარმას“ ვეტერანი მეკარე ლუკა ბუჩი მხოლოდ რამდენიმე წამის მერე მიხვდა, რაც მოხდა.

## რიცხვები

***ტარდინის ტაბუ:*** „ატალანტამ“ და მისმა ფანებმა „სტადიო ენიო ტარდინიზე“, როგორც იქნა, გაიხარეს. კვირას „პარმასთან“ მოგებულ (3:2) მატჩამდე ბერგამოელებს იქ 34 წელი ვერ ემარჯვათ.

***„ინტერი“ და მსაჯები:*** სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო, ამაზეა ნათქვამი. ბოლო ოთხი მატჩიდან სამში „ნერაძურის“ სასარგებლოდ სამი, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან საეჭვო პენალტი დანიშნეს. თუმცა ასევე ბოლო ოთხი მატჩიდან სამში მილანელებს პირველივე ტაიმში გაუძევეს ფეხბურთელი.

***ოფსაიდის ოსტატები:*** კლაუდიო რანიერიმ „იუვენტუსის“ დაცვას ხელოვნური თამაშგარის შექმნა მაგრად შეასწავლა. ამ კვირას ტურინელთა მახეში „კალიარიც“ გაება ოთხჯერ. სულ მიმდინარე სეზონში „ბებერმა ქალბატონმა“ მეტოქეები ყველაზე მეტჯერ (101) მოახვედრა თამაშგარეში. „რეჯინა“ კი ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად „აქტიურია“ — ოდენ 27 თამაშგარე.

**გიორგი კაკაბაძე**

# ნერვიულობა პატოზე

**„მილანმა“** ფლორენციაში „ფიორენტინას“ უმნიშვნელოვანესი მატჩი კი მოუგო, მაგრამ ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლის ავტორის ალეშანდრე პატოს ტრავმამ „როსონერის“ ეს წარმატება ჩაუმწარა.

მილანელთა ექიმები ჯერ დაზუსტებით ვერ ამბობენ, თუ რამდენი ხანი გაუცდება 6 თამაშში 4 გოლის გამტან ვუნდერკინდს. ფაქტია, რომ 18 წლის „იხვმა“ კოჭი მართლაც სერიოზულად იტკინა და ალბათ 3-4 კვირა მაინც მოუწევს უქმობა.

პატოს ტრავმამ კარლო ანჩელოტი საგონებელში ჩააგდო, განსაკუთრებით მომავალ უქმეებზე „სიენასთან“ გასამართი მატჩის წინ, რადგან ალბერტო ჯილარდინო დისკვალიფიცირებულია, ხოლო რონალდო და ფილიპო ინძაგი ლაზარეთში რჩებიან. ექიმებს იმედი აქვთ, რომ კვირის ბოლომდე ერთ-ერთი მათგანი მაინც მოახერხებს მომჯობინებას.

„ალეშანდრეს გამო ძალიან ვნერვიულობთ, მაგრამ აჯობებს, ექიმების საბოლოო დიაგნოზს დაველოდოთ. არც კი მინდა ცუდზე ფიქრი. ჯილარდინო დისკვალიფიცირებულია და ინძაგი ან რონალდუ თუ არ მომჯობინდნენ, ვერ გეტყვით, „სიენასთან“ რა უნდა ვქნათ. ისე კი, „იებთან“ მოგებამ ძალიან გამახარა, თან ასეთი გოლით. კაკამ ჯილარდინოს მიერ დატოვებული სივრცით მშვენივრად ისარგებლა და პატოს უპასა, რომელმაც ყველაფერი ბრწყინვალედ შეასრულა. ქება ეკუთვნის ჟელკო კალაჩსაც. მან ძირითად შემადგენლობაში თავისი ადგილი დაიმსახურა. თუმცა ნელსონ დიდაც მომჯობინდა და არ გავიწყდება, რომ მისი სახით კვლავ გვყავს უმაღლესი კლასის მეორე გოლკიპერი“ — თქვა ანჩელოტიმ.

„ფიორენტინას“ თავკაცი ჩეზარე პრანდელი: „ფსიქოლოგიურად პრობლემა არ გვაქვს, რადგან ვიცით, რომ კარგად ვითამაშეთ და ეს გვახარებს. წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ რას იზამ — ეს ფეხბურთია. სხვათა შორის, ჩვენ ფრითაც არ ვიქნებოდით კმაყოფილნი. „მილანი“ კი ბრწყინვალე გუნდია, რომელთანაც პატარა შეცდომას თუ დაუშვებ, არ გაპატიებს. ასეც მოხდა. ახლა მომავალ მატჩებზე უნდა გადავერთოთ. მეტი სიმწვავე და ბოლო ფაზაში მეტი სიზუსტე გვმართებს“.

**კოკი კანდელაკი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 16:45 | 3 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1.80 | 3.30 | 4.55 | 1.16 | 1.28 | 1.91 |
| 19:00 | 4 | ბოლტონი-პორტსმუთი | 2.45 | 3.20 | 2.75 | 1.38 | 1.29 | 1.47 |
| 19:00 | 6 | დერბი-ტოტენჰემი | 5.20 | 3.60 | 1.60 | 2.12 | 1.22 | 1.10 |
| 19:00 | 8 | ევერტონი-რედინგი | 1.50 | 3.70 | 6.30 | 1.06 | 1.21 | 2.33 |
| 19:00 | 12 | მიდლსბრო-ფულემი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 19:00 | 13 | სანდერლენდი-უიგანი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 19:00 | 14 | ვესტ ჰემი-ბირმინგემი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | 10 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 5 | ჩელსი-ლივერპული | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 17:30 | 10 | მანჩესტერი-სიტი | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| | | 11 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 1 | არსენალი-ბლექბერნი | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 8 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 21 | ჩარლტონი-კრ. პალასი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 15 | საუთჰემპტონი-ქპრ | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 16 | ბარნსლი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 17 | ვულვერჰემპტონი-სტოკი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 18 | ბრისტოლი-უენსდი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 19 | ბარნლი-კოლჩესტერი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 16:00 | 20 | კარდიფი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 22 | ჰალი-ბლეკპული | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 23 | იფსვიჩი-უოტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 21:20 | 24 | ლესტერი-პლიმუთი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 19:00 | 25 | პრესტონი-ქოვენთრი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 26 | შეფილდი-სკანთორპი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 89 | როვერსი-ჩელტენემი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 27 | ნოტინგემი-მილუოლი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 28 | ოლდემი-ჯილინგემი | 1.80 | 3.30 | 4.15 | 1.16 | 1.25 | 1.83 |
| 19:00 | 29 | პორტ ვეილი-კარლაილი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| 19:00 | 30 | საუთენდი-ჰარტლპული | 1.65 | 3.40 | 4.70 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 19:00 | 31 | ტრანმერი-ლეიტონი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 32 | ჩელტენემი-ბრაიტონი | 2.20 | 3.30 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 19:00 | 33 | უოლსოლი-იოვილი | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 34 | ქრიუ-სუონსი | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 19:00 | 35 | დონკასტერი-როვერსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 19:00 | 36 | ჰადერსფილდი-სუინდონი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 37 | ლუტონი-ბორნმუთი | 2.10 | 3.30 | 3.00 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 19:00 | 38 | ნორთჰემპტონი-ლიდსი | 2.70 | 3.30 | 2.30 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 94 | ბერი-სტოკპორტი | 2.85 | 3.20 | 2.30 | 1.50 | 1.27 | 1.33 |
| 23:45 | 95 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 96 | როჩდეილი-ბარნეტი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | 9 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 39 | მორიკომბი-მაკლსფილდი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 19:00 | 40 | პიტერბრო-რექსემი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 19:00 | 41 | სტოკპორტი-ნოტსი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 19:00 | 42 | ბრედფორდი-ბერი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:00 | 43 | უიკომბი-მენსფილდი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 19:00 | 44 | ბრენტფორდი-შრიუსბერი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 19:00 | 45 | ჩესტერი-აკრინგტონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 46 | დარლინგტონი-ბარნეტი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 19:00 | 47 | გრიმსბი-ჩესტერფილდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 48 | ჰერეფორდი-დაგ ენდ რედი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 19:00 | 49 | ლინკოლნი-როჩდეილი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 19:00 | 50 | დონსი-როტერჰემი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 99 | სპარტა-ბრედა | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 11:30 | 385 | ავსტრალია-ყატარი | 1.30 | 4.40 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.83 |
| 13:15 | 386 | იაპონია-ტაილანდი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 15:00 | 387 | სამხრეთ კორეა-თურქმენეთი | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 15:30 | 388 | ირანი-სირია | 1.30 | 4.40 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.89 |
| 16:30 | 389 | ერაყი-ჩინეთი | 1.70 | 3.20 | 4.80 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| 18:30 | 390 | ომანი-ბაჰრეინი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 19:00 | 391 | იორდანია-ჩრდ. კორეა | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 392 | საამიროები-კუვეიტი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 21:15 | 393 | საუდის არაბეთი-სინგაპური | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 395 | ნორვეგია 21-ავსტრია 21 | 61.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 21:15 | 396 | პორტუგალია 21-შოტლანდია 21 | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 23:45 | 397 | ესპანეთი 21-საფრანგეთი 21 | 2.05 | 3.20 | 3.10 | 1.24 | 1.23 | 1.57 |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 70 | კვიპროსი-უკრაინა | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 20:00 | 71 | მაკედონია-სერბეთი | 3.60 | 3.20 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 21:30 | 72 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 22:30 | 73 | თურქეთი-შვედეთი | 2.00 | 3.10 | 3.60 | 1.21 | 1.28 | 1.66 |
| 23:00 | 74 | სლოვენია-დანია | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:00 | 75 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 76 | ბოლივია-პერუ | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:30 | 77 | ხორვატია-ჰოლანდია | 2.25 | 3.10 | 3.00 | 1.30 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 78 | ავსტრია-გერმანია | 6.70 | 3.60 | 1.45 | 2.34 | 1.19 | 1.03 |
| 23:45 | 79 | იტალია-პორტუგალია ნ | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 23:45 | 80 | ირლანდია-ბრაზილია | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 23:45 | 81 | უელსი-ნორვეგია | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 82 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| 23:45 | 83 | ინგლისი-შვეიცარია | 1.40 | 3.70 | 7.50 | 1.01 | 1.17 | 2.47 |
| 23:45 | 84 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2.15 | 3.10 | 3.20 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 23:00 | 85 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.85 | 3.25 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.73 |
| 22:45 | 88 | ისრაელი-რუმინეთი | 2.90 | 3.20 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| | | **ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 16:30 | 90 | მალტა 21-უელსი 21 | 6.20 | 3.90 | 1.40 | 2.39 | 1.14 | 1.03 |
| 23:45 | 91 | ინგლისი 21-ირლანდია 21 | 1.18 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.05 | 3.46 |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 17:00 | 92 | კვიპროსი 21-ისლანდია 21 | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:00 | 93 | ისრაელი 21-ჩრდ. ირლანდია 21 | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **შოტლანდია. CIS Cup** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 97 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| | | **შოტლანდია FA Cup** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 98 | მოზერუელი-დანდი | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 5 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 460 | ლანუსი-ოლმედო | 1.25 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.19 |
| 23:45 | 461 | მინეროსი-არსენალი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | 6 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 462 | ბოლივარი-ატლასი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 463 | სერო-კრუზეირო | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | 7 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 464 | მონტევიდეო-სიენსიანო | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10070 | კვიპროსი-უკრაინა | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10071 | მაკედონია-სერბეთი | 4.00 | 2.00 | 2.30 | 1.33 | 1.46 | 1.06 |
| 10072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10073 | თურქეთი-შვედეთი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10074 | სლოვენია-დანია | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10076 | ბოლივია-პერუ | 2.35 | 2.00 | 3.80 | 1.08 | 1.45 | 1.31 |
| 10077 | ხორვატია-ჰოლანდია | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10078 | ავსტრია-გერმანია | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |
| 10079 | იტალია-პორტუგალია ნ | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10080 | ირლანდია-ბრაზილია | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10081 | უელსი-ნორვეგია | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10085 | ურუგვაი-კოლუმბია | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10088 | ისრაელი-რუმინეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11070 | კვიპროსი-უკრაინა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11071 | მაკედონია-სერბეთი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11073 | თურქეთი-შვედეთი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11074 | სლოვენია-დანია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11076 | ბოლივია-პერუ | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11077 | ხორვატია-ჰოლანდია | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11078 | ავსტრია-გერმანია | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11079 | იტალია-პორტუგალია ნ | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11080 | ირლანდია-ბრაზილია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11081 | უელსი-ნორვეგია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11085 | ურუგვაი-კოლუმბია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11088 | ისრაელი-რუმინეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12070 | კვიპროსი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 12071 | მაკედონია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 12073 | თურქეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 12074 | სლოვენია-დანია | 1.70 | 1.90 |
| 12075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12076 | ბოლივია-პერუ | 1.70 | 1.90 |
| 12077 | ხორვატია-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12078 | ავსტრია-გერმანია | 1.90 | 1.70 |
| 12079 | იტალია-პორტუგალია ნ | 1.60 | 2.00 |
| 12080 | ირლანდია-ბრაზილია | 1.85 | 1.70 |
| 12081 | უელსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 12083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 12084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.60 | 2.00 |
| 12085 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |
| 12088 | ისრაელი-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13070 | კვიპროსი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13071 | მაკედონია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13073 | თურქეთი-შვედეთი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | სლოვენია-დანია | 1.70 | 1.90 |
| 13075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ბოლივია-პერუ | 1.70 | 1.90 |
| 13077 | ხორვატია-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 13078 | ავსტრია-გერმანია | 1.70 | 1.90 |
| 13079 | იტალია-პორტუგალია ნ | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ირლანდია-ბრაზილია | 1.70 | 1.90 |
| 13081 | უელსი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.70 | 1.90 |
| 13084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13085 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.70 | 1.90 |
| 13088 | ისრაელი-რუმინეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14070 | კვიპროსი-უკრაინა | 2.20 | 1.70 |
| 14071 | მაკედონია-სერბეთი | 2.20 | 1.70 |
| 14072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 1.80 | 2.00 |
| 14073 | თურქეთი-შვედეთი | 1.70 | 2.20 |
| 14074 | სლოვენია-დანია | 2.10 | 1.75 |
| 14075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 14076 | ბოლივია-პერუ | 1.70 | 2.20 |
| 14077 | ხორვატია-ჰოლანდია | 1.80 | 2.00 |
| 14078 | ავსტრია-გერმანია | 2.60 | 1.20 |
| 14079 | იტალია-პორტუგალია ნ | 1.80 | 2.00 |
| 14080 | ირლანდია-ბრაზილია | 2.40 | 1.45 |
| 14081 | უელსი-ნორვეგია | 2.00 | 1.80 |
| 14082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 2.00 | 1.80 |
| 14083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.20 | 2.60 |
| 14084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.75 | 2.10 |
| 14085 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.65 | 2.30 |
| 14088 | ისრაელი-რუმინეთი | 2.00 | 1.80 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15070 | კვიპროსი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | მაკედონია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | თურქეთი-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | სლოვენია-დანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ბოლივია-პერუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ხორვატია-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ავსტრია-გერმანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | იტალია-პორტუგალია ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ირლანდია-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | უელსი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | ინგლისი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15085 | ურუგვაი-კოლუმბია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15088 | ისრაელი-რუმინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16070 | კვიპროსი-უკრაინა | 2.30 | 1.45 |
| 16071 | მაკედონია-სერბეთი | 2.45 | 1.40 |
| 16072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 1.58 | 2.10 |
| 16073 | თურქეთი-შვედეთი | 1.40 | 2.55 |
| 16074 | სლოვენია-დანია | 2.20 | 1.52 |
| 16075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 1.80 | 1.85 |
| 16076 | ბოლივია-პერუ | 1.38 | 2.65 |
| 16077 | ხორვატია-ჰოლანდია | 1.58 | 2.10 |
| 16078 | ავსტრია-გერმანია | 4.20 | 1.15 |
| 16079 | იტალია-პორტუგალია ნ | 1.65 | 2.05 |
| 16080 | ირლანდია-ბრაზილია | 3.30 | 1.25 |
| 16081 | უელსი-ნორვეგია | 1.80 | 1.80 |
| 16082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 2.05 | 1.65 |
| 16083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.11 | 5.70 |
| 16084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.52 | 2.20 |
| 16085 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.32 | 3.00 |
| 16088 | ისრაელი-რუმინეთი | 2.05 | 1.65 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17070 | კვიპროსი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17071 | მაკედონია-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | უნგრეთი-სლოვაკეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17073 | თურქეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | სლოვენია-დანია | 1.85 | 1.95 |
| 17075 | საბერძნეთი-ჩეხეთი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ბოლივია-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ხორვატია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ავსტრია-გერმანია | 1.85 | 1.95 |
| 17079 | იტალია-პორტუგალია ნ | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ირლანდია-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |
| 17081 | უელსი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ჩრდ.ირლანდია-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | ინგლისი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ესპანეთი-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17085 | ურუგვაი-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 17088 | ისრაელი-რუმინეთი | 1.85 | 1.95 |

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. XIII ტური

**4 თებერვალი. ვერის ბაღი**

**დინამო 83:79 ვითა**

*ძირითადი დრო: 68:68*

*13:23 20:16 24:9 11:20 15:11*

**დინამო:** ჟღენტი (29), გულისაბედაშვილი (9), ლაფანაშვილი (15), მაისურაძე (2), ათანელაშვილი (10); ახალკაცი (11), სანიკიძე (7)

**ვითა:** მარხვაშვილი (22), მარკოიშვილი (15), მ. ბერიშვილი (4), ბეჟანიშვილი (13), ბერძენიშვილი (18); წივწივაძე (7), ნ. ნოზაძე, გვიმრაძე, ლ. ნოზაძე

მსაჯები: მაკა კუპატაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**ენერჯი-ინვესტი 100:106 მაკაბი**

*ძირითადი დრო: 88:88*

*24:18 22:22 28:26 14:22 4:4 8:14*

**ენერჯი:** ჩიტაშვილი (2), ლეჟავა (22), ბოისა (11), ტუჯანი (15), ბაბიაშვილი (14); სტეფანოვი (17), ჭოჭუა (7), გოგობერიშვილი (4), დიდია (2)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (17), კორკოტაძე, სორდია (26), კოლუაშვილი (11), გ. შერმადინი (40 ქულა, 22 მოხსნა); ს. შერმადინი (6), ვაშაკიძე (6), პირველაშვილი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, გურამ მიქელაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

**თსუ 81:99 ავიამშენი**

*13:25 23:14 19:24 26:36*

**თსუ:** არწივიძე (6), ხეცურიანი (6), ფაჩულიძე (8), კუიდია (23), ტყეშელაშვილი; დ. ბერიშვილი (11), ბარბაქაძე (10), კოხრეიძე (10), ყველაშვილი (7)

**ავიამშენი:** ტულუში (15), ნიკოლაძე (27), ხოშტარია (6), მინაშვილი (30), მათიაშვილი (21 ქულა, 30 მოხსნა)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

# რეკორდები, სენსაციები, ოვერტაიმები

## მათიაშვილმა მოხსნა, მაკაბიმ დაამარცხა, მოსეშვილმა არ შეცვალა


გიორგი შერმადინი და რიჩარდ მათიაშვილი ერთმანეთს მოხსნებში გაეჯიბრნენ

**გუშინ** სუპერლიგაში რეკორდების, ოვერტაიმების და სენსაციების დღე იყო. რომელი ერთით გინდა დაიწყო — მოქმედი ჩემპიონის აუტსაიდერთან დამარცხებით, მიჯრით მეორე ფავორიტთან „დინამოს" გამარჯვებით თუ მოხსნებში დამყარებული რეკორდით, რომელმაც საათნახევარი თუ გაძლო და მომდევნო მატჩშივე გაუმჯობესდა. მოდით, ბოლოდან დავიწყოთ და მოხსნებში დამყარებულ რეკორდებზე ვთქვათ.

„მაკაბის" ცენტრფორვარდმა გიორგი შერმადინმა „ენერჯი-ინვესტთან" უდაძაბულეს მატჩში, რომელშიც ორი ოვერტაიმი დაინიშნა და ამაზე ცოტა ქვემოთ მოგითხრობთ, 40 ქულასთან ერთად 22 მოხსნა მიითვალა და ამ კომპონენტებში მიმდინარე სეზონის რეკორდები გამოაცხო. აქამდელი რეკორდებიც მისი იყო: 39 ქულა და 20 მოხსნა. შერმადინი სუპერშედეგიანი თამაშის და მით უფრო მისი გუნდის ლიდერთან გამარჯვების გამო ჟურნალისტებმა ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

ამის შემდეგ გაიმართა „ავიამშენისა" და თსუ-ს შეხვედრა, სადაც სუპერლ. გის აბსოლუტური რეკორდი აღინიშნა მოხსნებში. „ავიატორთა" ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა 30-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და ვინძლო, დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის რეკორდი გამოაცხო. ვინძლო იმიტომ, რომ ადრე სტატისტიკას კომპიუტერით არ ითვლიდნენ და ვინმეს მათიაშვილზე მეტი მოხსნა რომც მოეგროვებინა, ეს შედეგი კალათბურთის ფედერაციის რომელიღაც თაროზე მუყაოს საქაღალდეში იქნება ჩამალული. ზეპირად კი ვერც ვერავინ გაიხსენა, რომ ვინმეს ეროვნულ ჩემპიონატში 30-ჯერ მოეხსნას ბურთი.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო მოვლენაა და ბარაქალა მათიაშვილს, მაგრამ გუშინდელი დღის უმთავრესი ამბავი ცხრილის პოლუსებზე მყოფი გუნდების შეხვედრა და იქ დაფიქსირებული მოულოდნელი შედეგი იყო.

დიახ, „მაკაბიმ" მოუგო ლიდერ „ენერჯი-ინვესტს", რომელიც გუშინწინამდე დაუმარცხებელი იყო ეროვნულ ჩემპიონატში და ბოლო ორ დღეში ორი მარცხი იწვნია — ჯერ თსუ-სგან, გუშინ კი...

რუსთაველები საკუთარ თავს არ ჰგვანან. გუნდს, რომელიც ერთი ამოსუნთქვით უგებდა ყველა შემხვედრს და მიმდინარე სეზონში იანვრამდე თამაში არ წაეგო, ორ კვირაში ოთხჯერ მოუწია მოედნის თავდახრილი დატოვება — ბოლო დღეების გარდა ქვემოქართლელებმა ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე და საქართველოს თასზე წააგეს.

ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარი მწვრთნელის გარეშე მოთამაშე „მაკაბისთან" დამარცხება მართლაც დამაფიქრებელია. ჯამლეტ ხუხაშვილს დედა გარდაეცვალა და გუნდს მისი ასისტენტი, ნოდარ ქორქია მოძღვრავდა, რომელიც მატჩის ბოლოს ისე ნერვიულობდა, რომ სულ ციბრუტივით ბზრიალებდა.

მატჩის ბოლო ვახსენეთ და ეს იყო შეხვედრა, რომელსაც თითქოს დასასრული არ ექნებოდა. გუნდებმა ძირითად დროში რომ ვერ გაარკვიეს ურთიერთობა, დამატებითი დრო დაინიშნა, რომელიც ასევე ფრედ დასრულდა. ერთი სიტყვით, იმგვარად დაძაბული მატჩი გამოვიდა, რომლის მსგავსიც მიმდინარე ჩემპიონატს არ ახსოვს.

„მაკაბიმ" თავიდანვე გამოაჩინა ბრჭყალები და საწყისი მეოთხედის 18:24 წაგების შემდეგ რუსთაველთა ფარს მიეძალა. ვინ იყო მაკაბელთა დამრტყმელი ძალა და გიორგი შერმადინი, რომელიც შედარებით ტანმორჩილ ოპონენტებთან ბრძოლაში თავს კომფორტულად გრძნობდა და მისმა ჩაუქობამ მეორე მეოთხედის შუაწელში „მაკაბის" წუთიერი, თუმცა ლიდერობა მოუტანა — 31:29.

ზვიად ბაბიაშვილი და იოვონ სტეფანოვი ბევრს ცდილობდნენ და შერმადინის შეჩერებაც ხანდახან გამოსდიოდათ. ასეთ დროს საქმეში „მაკაბის" უკანა ხაზი ერთვებოდა, სადაც ირაკლი ბერიშვილი და ირაკლი სორდია გამოირჩეოდნენ. ისინი სამქულიანებითა და სწრაფი გარღვევებით ლაშქრავდნენ მეტოქის ფარს და რუსთაველებს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ.

„ენერჯი-ინვესტი" ლიდერობდა, მაგრამ არც ისე საიმედოდ — 46:40, 63:51, 74:66... ამ შედეგით დასრულდა მესამე მეოთხედი და დაიწყო „მაკაბიადა". ეტყობა, რუსთაველებს არ ეგონათ, რომ სუპერლიგაში ყველაზე მეტი მატჩის წამგები გუნდი ასე უცაბედად გარდაისახებოდა. ქორქიას შეგირდებმა აქცენტი უკანა ხაზზე გადაიტანეს და რუსთაველებს სამქულიანებით შეუტიეს, რასაც მალიმალ სწრაფ გარღვევებს უნაცვლებდნენ.

ბერიშვილმა და სორდიამ შორიდან დასჭექეს, ძმებმა შერმადინებმა საჯარიმოში გამოიღეს ხელი და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე ანგარიში გაყაიმდა — 76:76.

წესით, რუსთაველთათვის ეს უნდა ყოფილიყო განგაშის ზარი, მაგრამ დავით უსტიაშვილის გუნდს ძალა აღარ ეყო. „მაკაბი" დაცვაში გამაგრდა და ზონურად იცავდა თავს. ქვემოქართლელები ცდილობდნენ თბილისელთა საჯარიმოში შეღწევას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფეხნატკენი სოსო შერმადინი მოედნიდან გავიდა, ამას მაინც ვერ ახერხებდნენ. ასეთ ვითარებაში ერთადერთ იარაღად სამქულიანები რჩებოდა, მაგრამ რუსთაველებს არც ამაში გაუმართლათ და ძირითადი დროის დასრულებამდე წამებით ადრე წაგებას თვალებში შეხედეს. ირაკლი ბერიშვილმა ბოლო წუთებზე ყველა საჯარიმო ჩააგდო და „მაკაბიც" სირენამდე 15 წამით ადრე 88:85 იგებდა.

რუსთაველებმა მოედანზე უხმეს გამოცდილ რამაზ გოგობერიშვილს, რომელმაც დასრულებამდე 10 წამით ადრე არაზუსტად ტყორცნა სამიანი, მაგრამ ფარქვეშ იოვან სტეფანოვმა იყოჩაღა და მოხელთებული ბურთი პერიმეტრზე ჩასაფრებულ გეგი ლიპარტელიანს გადააწოდა — სროლა, 88:88 და ოვერტაიმი.

პირველმა დამატებითმა ხუთწუთეულმა ორმხრივ ძუნწქულიან თამაშში ჩაიარა. გუნდებმა ერთმანეთს მხოლოდ 4-4 ქულა ჩაუგდეს და აღსანიშნავია, რომ „მაკაბიმ" ანგარიში 88:92 ჩამორჩენის შემდეგ გაათანაბრა და გადამწყვეტი სროლის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ ირაკლი ბერიშვილს აუცდა.

რუსთაველებს კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი, რომ წაგება თავიდან აეცილებინათ, მაგრამ „მაკაბიმ" იყნოსა მოგების სურნელი და მისი მოპოვების ეფექტურ იარაღსაც მიაგნო. თბილისელთა ზონური დაცვა დაუძლეველი წინაღობა გამოდგა რუსთაველებისთვის და უსტიაშვილის გუნდს სამქულიანებიც უცუდდებოდა.

აცილებულ ბურთებს მაკაბელები ეუფლებოდნენ და კონტრშეტევას ან სწრაფი გარღვევით აგვირგვინებდნენ, ანაც რუსთაველთა უხეშობის შემდეგ ბერიშვილი საჯარიმოს ხაზზე დგებოდა. ის შეუმცდარი იყო და მთლიანობაში 8 სროლიდან მხოლოდ ბოლო ააცილა, თუმცა მანამდე სორდიამ მოასწრო სამქულიანის მითვლა და „მაკაბის" გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა.


ლევან მოსეშვილმა ხუთეული იმყოფინა

ოვერტაიმი დაფიქსირდა „დინამოსა" და „ვითას" მატჩშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში — მხოლოდ ერთი. „ვითამ" მეორე მეოთხედში 20-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა (39:19) და ამან ისე დააარხეინა, რომ დინამოელებმა მიმდინარე ჩემპიონატში ასევე სარეკორდო გაქცევა მოაწყვეს — 21:0 და დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა გაგრძელდა ბოლო წუთამდე და თამაშიც ოვერტაიმში გადაიზარდა. დამატებით დროში და მანამდეც არჩილ ჟღენტი წინამძღოლობდა დინამოელებს, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში თავისი სიტყვა თქვა და „დინამომ" გუშინწინ ძლეულ „ავიამშენს" გუშინ „ვითაც" მიაყოლა.

„დინამოში" ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, რაზეც სარბიელი გუშინ წერდა. „ვიკამ" ფეხების ტრავმა საბოლოოდ მოირჩინა და სანამ უცხოურ გუნდს გამონახავდეს, ქართულ სუპერლიგაში ითამაშებს.

დაბოლოს, კიდევ ერთი რეკორდი, თუ რაც გინდათ, ის დაარქვით. ათი წლის წინ რა იყო, არ ვიცით და ბოლო ხანებში არასდროს მომხდარა, რომ გუნდს თამაში შეცვლის გარეშე ჩაეტარებინოს. „ავიამშენის" თავკაცმა ლევან მოსეშვილმა თქვა, რომ ხუთეულით უნდა მოვიგოთ თამაშიო და თსუ ისე დაამარცხა, რომ სასტარტოების გარდა მოედანზე ერთი წამითაც არავინ შეუყვანია. ყველამ წინასწარ იცოდა, რომ მწვრთნელი შეცვლას არ გეგმავდა და ვინიცობაა, ვინმეს ტრავმა მიეღო, ბიჭები ყოველი შემთხვევისათვის სპორტულ ფორმაში გამოწყობილები ისხდნენ სათადარიგოთა სკამზე.

დღეს სუპერლიგაში დასვენებაა და მესამე ბლიც-წრის ბოლო ორი ტური ხვალ-ზეგ გაიმართება.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენ. ინვესტი | 13 | 11 | 2 | 24 |
| თსუ | 13 | 8 | 5 | 21 |
| ავიამშენი | 13 | 6 | 7 | 19 |
| დინამო | 13 | 5 | 8 | 18 |
| ვითა | 13 | 5 | 8 | 18 |
| მაკაბი | 13 | 4 | 9 | 17 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

3 თებერვალი

**ვაშინგტონი 91:103 ლეიკერსი**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (21 ქულა, 11 მოხსნა), ბატლერი (15), იუნგი (14), მეისონი (14)

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (30), რადმანოვიჩი (15), ოდომი (14), ტურიაფი (13), უიაჩიჩი (12)

**დეტროიტი 90:67 დალასი**

**დეტროიტი:** ვოლესი (21), პრინსი (16), სტაკჰი (11), ჰეიესი (10), ჰემილტონი (10)

**დალასი:** ნოვიცკი (15 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (15), ბესი (14), დამპიერი (8 ქულა, 10 მოხსნა)

სარბიელელები თანაგრძნობას ვუცხადებთ ცნობილ სპორტულ ჟურნალისტსა და საკალათბურთო გუნდის, თბილისის „მაკაბის" მთავარ მწვრთნელს ჯამლეტ ხუხაშვილს დედის,

**სონია ხუხაშვილის**

გარდაცვალების გამო

ქვარციტი
QUARTZITE

# ტიმ ლეინი: ჩემთვის ყველა ქართველი ერთია



საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, ავსტრალიელ ტიმ ლეინს შესანიშნავი დებიუტი გამოუვიდა. მხოლოდ სამი დღე ჰქონდა გადახალისებული ნაკრების გასაცნობად და ამ სამ დღეში იმდენი მოახერხა, რომ ჩვენსავით მსოფლიოს თასზე ნათამაშებ პორტუგალიას გადაუარა. ქართველმა „ლელოებმა“ პორტუგალიას 31:3 მოუგეს და ახლა, 9 თებერვალს, უპრინციპულესი მეტოქის, რუმინეთის დასახვედრად ემზადებიან. გუშინწინ „ლელოებმა“ ერთი დღით დაისვენეს, გუშინ კი ვარჯიში განაახლეს და ჩვენც მათ მთავარ მწვრთნელ ტიმ ლეინს ვეწვიეთ სასაუბროდ...

— როდესაც ჩამოხვედით, თქვით, რომ გუნდის გაცნობა ვერ მოასწარით. უკვე სამი ვარჯიში და ერთი მატჩი ჩაატარეთ. უკეთეს ვითარებას ელოდით, თუ უარესს?

— როდესაც საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელობას დავთანხმდი, ვიცოდი, რომ მსოფლიოს თასის შემდეგ გუნდი მნიშვნელოვნად გადახალისდებოდა. სიმართლე გითხრათ, სასიამოვნო სიურპრიზი დამხვდა. ასეთი შეკრული, პოტენციალით სავსე და შემსრულებელი გუნდის დახვედრას ნაღდად არ ველოდი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბიჭების მზადყოფნა, სიახლეების ათვისების უნარი და ჟინის ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

— რაც ალბათ პორტუგალიასთან მატჩში გამოიკვეთა...

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. როდესაც პირველივე ვარჯიშზე მკითხეთ, რას ველოდი საქართველოს ნაკრებისგან, მე გიპასუხეთ, რომ რეალობა პორტუგალიასთან მატჩისას გამოჩნდებოდა. ვარჯიშზე, რეალურ წინააღმდეგობას ვერ გრძნობ, გუნდი ნამდვილ თამაშში იცდება, ბიჭებმა ეს გამოცდა ჩააბარეს. თანაც ნუ დაივიწყებთ, რომ ხუთი თუ ექვსი დებიუტანტი გვყავდა. რაც მთავარია, მოედანზე სული და გული დადეს, მონდომება და ხასიათი დამანახვეს. ეს ადრე მონაყოლით ვიცოდი, მაგრამ როდესაც თვითონ ვნახე, უკვე ჩემი თავისაც ვირწმუნე. გუნდს შეუძლია საგრძნობლად მოუმატოს. ამაში ლაღ და ხელდახელ თამაშს ვგულისხმობ. როგორც ჩემმა ასისტენტებმა ლევან ცაბაძემ და ვიქტორ დიდებულიძემ მითხრეს, საქართველოს ნაკრებს ასეთი კომბინაციური რაგბი არასდროს უთამაშია. ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტია, რადგან სამ დღეში იმის მესამედსაც არ ველოდი, რაც მივიღეთ.

— სხვათა შორის, კომბინაციურ და ხელდახელ რაგბიში ძალიან კარგად ჯდება გიორგი შკინინი, რომელიც პორტუგალიასთან მატჩში განაცხადშიც ვერ მოხვდა...

— ერთხელაც გავიმეორებ — მე დამხვდა გაფართოებული შემადგენლობა, რომლისგანაც უნდა ამერჩია ოცდაორი მორაგბე. მე კი არა, თვითონ მორაგბეებმა პირველად გაიცნეს ერთმანეთი. ახლა ვიწყებ ბიჭების სახელების დამახსოვრებას. რაც სამ დღეში შეკრებაზე ვნახე, იმათგან კონკრეტული მატჩისთვის საუკეთესოები ავარჩიე. არ მინდა, რომ ვინმე დაიჩაგროს, რუმინეთთან მატჩისწინა შეკრებაზე ამ ოცდაათ მორაგბეს დაემატა სამი კაცი და ისევ თავიდან უნდა შევარჩიო. ასე რომ, ჩემთვის გვარები არაფერს წყვეტენ. მეც არ ვიცი, ვინ ვინ არის. მე მათ მზადყოფნით ვარჩევ.

— მაგრამ გიორგი შკინინმა მსოფლიოს თასზე ირლანდიას ულამაზესი ლელო გაუტანა...

— გასაგებია, მაგრამ შეიძლება ეს პორტუგალიასთან ვერ გაეკეთებინა. მე დავინტერესდები ამ ბიჭით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადგილს აუცილებლად გამოვუნახავ. კონკრეტულ მატჩში კონკრეტულად მომზადებული მორაგბე ითამაშებს. შანსი ყველას აქვს და კარი ყველასთვის ღიაა.

— ერთ კვირაში უპრინციპულეს მეტოქესთან, რუმინეთთან მოგიწევთ თამაში. ამ კონტინგენტით შეძლებთ მათ დამარცხებას?

— რუმინეთსაც ჩვენნაირი პრობლემები აქვს. მათთანაც დაიწყო თაობათა ცვლა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ საქართველოს რეზერვი და პოტენციალი მის სულში და ხასიათშია. ბიჭების განწყობა უნდა ნახოთ, რომ ამაში დარწმუნდეთ. მათი გული ახალი გამარჯვებისთვის ფეთქავს და ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

— მაგრამ მეორეა ფიზიკური შესაძლებლობები...

— გეთანხმებით, ამისთვის ჩვენ კიდევ ხუთი დღე გვაქვს. მჯერა, ბიჭები მალევე აითვისებენ საამატჩო დავალებებს და რუმინეთს მოვუგებთ. ისე კი, სამუშაო მართლაც ბევრი გვაქვს, აქ ამისთვის ჩამოვედი და პასუხს იმისთვის მთხოვენ, რომ საქართველოს ნაკრები გრანდებს მოვუახლოვო. ამას გავაკეთებ, ოღონდ წელიწადნახევარი მჭირდება.

— სხვათა შორის, მსოფლიოს თასზე უფერულად გამოსულმა იტალიის ნაკრებმა გუშინწინ ლამის ირლანდიას მოუგო. როდის შეძლებს საქართველო ამ დონეზე ასვლას?

— გასულ მსოფლიოს თასზე საქართველომ კინაღამ მოუგო ირლანდიას, მაგრამ ეს მალევე დაავიწყდებათ. თუ ყველაფერი ჩემი გეგმით წარიმართა, მაშინ ორ-სამ წელიწადში საქართველოს ნაკრები იტალიას გაუსწრებს და მოუგებს. მე, როგორც მწვრთნელი, ამას თამამად ვამბობ.

**ბაჩო სვანიძე**







# პორტუგალიიდან რუმინეთამდე

## ირაკლი ყიასაშვილი: ხარვეზები გამოსწორდება

პორტუგალიელთა დამარცხების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა ერთი დღე იუქმა და ისევ შეუდგა საქმეს. 9 თებერვალს „ლელოები“ რუმინელებს უმასპინძლებენ ერთა თასის შეხვედრაში. ტიმ ლეინმა გუშინ „ლელოები“ „ოლიმპის“ სკოლის მოედანზე შეკრიბა და კიდევ უფრო გაფართოვებული შემადგენლობით ავარჯიშა

ავსტრალიელმა ვარჯიში წესისამებრ მორაგბეთა გახურებით დაიწყო. მოთელვის შემდეგ მორაგბეები ორ ნაწილად გაყო და ორმოციოდე წუთი სხვადასხვა კომბინაციებზე ამუშავა.

შემდეგ ხუთ-ხუთი მოიერიშე უტევდა ხელში საკონტაქტო ბალიშმომარჯვებულ მოწინააღმდეგეს. რამდენიმე სპარინგ-პარტნიორის გვერდის ავლის შემდეგ ხუთიდან ერთი მორაგბე ბურთით ხელში მთელი ძალ-ღონით ეხეთქებოდა დამხვდურს, დამხმარეები კი ცდილობდნენ, მეტოქეები მიეყარ-მოეყარათ და ბურთიანი კაცი გაეთავისუფლებინათ. ეს ვარჯიშიც კარგა ხანს გაგრძელდა. დასასრულს მწვრთნელმა ბიჭებს სირბილით სიქა გააცალა და ყველანი გასახდელისკენ გაეშურნენ.

ერთ-ერთ მათგანს, **ირაკლი ყიასაშვილს**, რომელსაც პორტუგალიასთან დებიუტი ჰქონდა, გავესაუბრეთ და განვლილ მატჩში განცდილ-გადატანილზე ვკითხეთ...

— **როგორი შეგრძნებაა ნაკრების მაისურით საკუთარი გულშემატკივრის წინაშე თამაში?**

— ენით აუწერელი, ფანტასტიკური. ბედნიერი კაცი ვარ, რომ საშუალება მომეცა და საქართველოს ნაკრებში ვითამაშე. შეხვედრის დასაწყისში ძალიან ვნერვიულობდი, რაც მეტყობოდა კიდეც. ამ დაძაბულობამ ჩემს დარტყმებზეც იმოქმედა, რამდენიმე გამიფუჭდა, მაგრამ ვეცდები, რომ ყველა ხარვეზი გამოვასწორო.

— **ფეხით თამაშზე ინდივიდუალურად ვარჯიშობ?**

— ინდივიდუალურადაც და გუნდთანაც. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ აღარ მომეცა წესიერი ვარჯიშის საშუალება. სტადიონის უქონლობა და ცუდი ამინდებიც იყო ნაწილობრივ ამის მიზეზი.

— **ახალი მწვრთნელი თუ მოგწონთ?**

— კი, კარგი სპეციალისტია და რაც ჩემთვის უფრო სასიხარულოა, აქცენტს ხაზის თამაშზე აკეთებს. მე კი, როგორც ხაზის მოთამაშეს, ეს ძალიან წამადგება.

ბოლოს გეტყვით, რომ ნაკრებს რუმინეთთან ჯახისთვის შეუერთდებიან ძველი რაზმელები მორკინალები — დავით ზერაქიშვილი, მამუკა გორგოძე და უკანახაზელი ირაკლი გიორგაძე.

**ზურაბ მიგრიაული**

# ჩახნაშვილმა პარიზი და 5 ქულა ნახა



**ჩოგბურთელმა** ქალებმა ფედერაციის თასის მატჩები მოილიეს და კალენდარულ ცხოვრებას დაუბრუნდნენ. ამ კვირის კალენდრის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრი კი პარიზში ტარდება და მისი საპრიზო ფონდი 600 ათასი ევროა.

პარიზის ჭერქვეშა ჰარდზე ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან ცდილობდა გასვლას საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი მაკა ჩახნაშვილი. პირველ წრეში მაკამ იოლად, 7:5 6:0 დაჯაბნა უკრაინელი გალინა კოზიკი, მაგრამ შემდეგ ველარაფერი მოუხერხა WTA-ს რეიტინგის 104-ე ნომერს, გერმანელ ჯულია დიტის. ჩახნაშვილი სამ სეტში — 3:6 6:2 0:6 დამარცხდა და ტურნირს გამოეთიშა. თუმც საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში გასვლისთვის 5 სარეიტინგო ქულა მაინც მიილო და ჯიბეც 1195 დოლარით შეივსო.

კიდევ ერთი ქართველი, კერძოდ კი ანა ტატიშვილი, ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში, მიდლენდის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 75-ათასიან ტურნირზე ითამაშებს. თავდაპირველი მონაცემებით, ანასაც კვალიფიკაციიდან უნდა დაეწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ძირითად ბადეში მყოფმა რომელიღაც ჩოგბურთელმა თამაშზე უარი განაცხადა და მისი ადგილი სწორედ ჩვენებურმა დაიკავა.

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ფედერაციის** თასის მატჩების გამო წინა კვირაში WTA-ტურის ეგიდით ტურნირები არ გამართულა და შესაბამისად, ქალთა რეიტინგების მოწინავეთა შორის არანაირი ცვლილება არ მომხდარა. აი, ATP-ის კალენდარში ერთი ტურნირი იყო, ჩილეს ქალაქ ვინა დელ მარიში და მისმა მომგებმა მასპინძელმა ფერნანდო გონსალესმა გვარიანად წაიწია წინ.

ქართველებს რაც შეეხება, კლასიფიკაციებში კვლავაც თოთხმეტი ჩვენებურია — ოთხი კაცი და ათი ქალი და მათი მდგომარეობა გასულ კვირაში დიდად არ შეცვლილა.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 365 (+4) ლადო ჩიხლაძე | 88 |
| 1220 (-6) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1489 (-1) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1489 (-1) გიორგი ჭანტურია | 1 |
| **ქალები** | |
| 191 (-9) მაკა ჩახნაშვილი | 148 |
| 285 (+4) ანა ტატიშვილი | 88 |
| 409 (-1) სოფო შაფათავა | 46 |
| 511 (-1) თინა ყაველაშვილი | 31 |
| 590 (-1) სალომე დევიძე | 22 |
| 606 (-2) მანანა შაფაქიძე | 21 |
| 644 (-1) ოქსანა კალაშნიკოვა | 18 |
| 693 (0) სოფო ქვაცაბაია | 16 |
| 803 (+1) ეკა გორგოძე | 10 |
| 824 (+2) სოფო მელიქიშვილი | 9 |

## ფედერაციის თასი. I ჯგუფი. მეოთხედფინალი

**ისრაელი 1:4 რუსეთი**

შაჰარ პირი — დინარა საფინა 0:6 6:2 6:4
მარია შარაპოვა — ციპორა ობზილერი 6:0 6:4
შარაპოვა — პირი 6:1 6:1
ანა ჩაკვეტაძე — ობზილერი 6:4 6:2
საფინა, ელენა ვესნინა — პირი, ობზილერი 6:0 1:6 6:4

**ჩინეთი 3:2 საფრანგეთი**

ნა ლი — ალიზ კორნე 6:3 6:1
შუაი პენგი — ვირჟინი რაზანო 4:6 6:3 6:4
რაზანო — ნა ლი 4:6 6:2 6:4
ნატალი დეში — ძი იანი 6:3 6:2
ძი იანი, ჟი ჟენგი — დეში, რაზანო 7:5 7:6

**იტალია 2:3 ესპანეთი**

ნურია ლაგოსტერა ვივესი — ფრანჩესკა შიავონე 7:6 3:6 6:2
ანაბელ მედინა-გარიგესი — ფლავია პენეტა 6:2 6:3
მედინა-გარიგესი — შიავონე 6:4 6:1
სარა ერანი — ლურდეს დომინგეს ლინო 5:7 6:4 6:0
ერანი, ტატიანა გარბინი — ლაგოსტერა ვივესი, კარლა სუარეზ-ნავარო 6:4 6:3

**აშშ 1:1 გერმანია**

საბინე ლისიცკი — ლინდსი დევენპორტი 6:1 7:5
ეშლი ჰარკლროუდი — ტატიანა მალეკი 6:1 6:3

# ჩინური ფედერაცია

**ამაზეა** ნათქვამი, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. პარასკევს ფედერაციის თასის მეოთხედფინალებზე საუბრისას დიდის ამბით განვაცხადეთ, წლევანდელ წყვილებში იმდენად გამოკვეთილი ფავორიტები არიან, რომ ხეირიან და დაძაბულ ბრძოლას არსად ველითო. თუმც ამ უქმეებზე განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახვა, რომ სანაკრებო ჩოგბურთში ჩვეულებრივი სტანდარტებით მსჯელობა უაზრობაა, რადგანაც ამ დონეზე აუტსაიდერებიც გახელებით ომობენ და არაფერს თმობენ.

შაბათ-კვირას გამართულ მეოთხედფინალებშიც ასე იყო — თითქოსდა უიმედოდ გამოცხადებულმა ნაკრებებმა ნამდვილი ომი გაუმართეს კლასით უფრო მაღალ მეტოქეებს და რამდენიმე სიურპრიზიც შემოგვთავაზეს.

უმთავრესი სენსაციით დავიწყოთ — ესპანეთის თითქოსდა არაფრით გამორჩეულმა ნაკრებმა სტუმრად, ნეაპოლში წააქცია შარშანწინდელი ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი იტალია. პირინეელებს ანაბელ მედინა-გარიგესმა ულიდერა, რომელმაც მასპინძელთა ლიდერ ფრანჩესკა შიავონესაც გადაუარა და ფლავია პენეტასაც. ამას ნურია ლაგოსტერა ვივესმა ერთი გამარჯვებაც მიამატა და ესპანელებმა საქმე უცბად მოამთავრეს, რის გამოც ბოლო ორმა მატჩმა ყოველგვარი აზრი დაკარგა.

საინტერესოდ მიდის აშშ — გერმანიის დაპირისპირებაც, რომელიც კვირას კალიფორნიაში წამოსული თქეშის გამო გადაიდო. პირველი სათამაშო დღის შემდეგ კი ანგარიში თანაბარია — საბინე ლისიცკიმ ფრიად გააოცა ყველა, როცა იანკთა ლიდერი ლინდსი დევენპორტი წააქცია, თუმც ეშლი ჰარკლროუდმა ტატიანა მალეკის განადგურებით გამოასწორა სიტუაცია.

ანგარიშის მიუხედავად, ძალიან გაუჭირდათ რუსებს, რომლებსაც ებრაელმა მაყურებლებმა ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. შეიძლება ითქვას, რომ სლავი მეჩოგნეები ტრიბუნებს უფრო ეომებოდნენ, ვიდრე კორტის მოპირდაპირე მხარეს მდგარ მეტოქეებს. თუმც მარია შარაპოვასა და ანა ჩაკვეტაძის კლასმა თავისი გაიტანა და მოქმედი ჩემპიონები ნახევარფინალში არიან.

ყველაზე დაძაბული კი ჩინეთ-საფრანგეთის ჯახი გამოდგა. აზიაში ულიდეროდ ჩასულმა გალებმა პირველ სათამაშო დღეს ორივე შეხვედრა დათმეს და თითქოს ყველანაირი შანსიც დაკარგეს, მაგრამ კვირას ვირჟინი რაზანომ და ნატალი დეშიმ კინაღამ მცირე სასწაული მოახდინეს. ფრანგებმა ერთეულთა შეხვედრები მოიგეს და საქმე გადამწყვეტ, წყვილთა მატჩამდეც მივიდა, თუმც ეს მათთვის ორ დღეში მესამე თამაში იყო და ბოლოს დაეტყოთ. ჩინელებმა კი მეტოქეს დასვენებული მეჩოგნეები დაუპირისპირეს და ეს გადამწყვეტი ფაქტორიც აღმოჩნდა. მოკლედ, მასპინძლებმა იყოჩაღეს და ფედერაციის ნახევარფინალს ისტორიაში პირველად უწიეს.

**ბაჩა ლომაშვილი**

# კაცები

| განთესვის რეიტინგი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6630 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5980 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 5165 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2725 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2715 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2155 |
| 7. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1895 |
| 8. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1845 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1700 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1685 |
| 12. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1645 |
| 13. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1573 |
| 14. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1520 |
| 15. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1515 |
| 16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1515 |
| 17. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1505 |
| 18. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1505 |
| 19. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1490 |
| 20. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1489 |

| საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 200 |
| 2. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 155 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 114 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 90 |
| 5. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 85 |
| 6. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) | 77 |
| 7. იარკო ნიემინენი (ფინეთი) | 74 |
| 8. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 58 |
| 9-11. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 54 |
| 9-11. ხუან მონაკო (არგენტინა) | 54 |
| 9-11. დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 54 |
| 12. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 52 |
| 13. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 51 |
| 14-15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 50 |
| 14-15. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 50 |
| 16. მარიან ჩილიჩი (ხორვატია) | 48 |
| 17. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 44 |
| 18. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 42 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 41 |
| 20-21. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 38 |
| 20-21. პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) | 38 |

**კაცები**
**ვინა დელ მარი. ჩილე. თიხნარი**
**საპრიზო 462 000 დოლარი**

**ფინალი**
**ფერნანდო გონსალესი (1, ჩილე) — ხუან მონაკო (3, არგენტინა) უარი**

# გონსალესის მესამე მშობლიური



**ჩილეს** პატარა საკურორტო ქალაქ ვინა დელ მარში ადგილობრივთა ფავორიტმა და ლამის კერპმა ფერნანდო გონსალესმა იჩემპიონა და ამ ტიტულს უკვე მესამედ დაეუფლა. თუმც მსოფლიოს მერვე ჩოგანს ფინალის თამაში არ მოუწია, რადგან მისმა მომავალმა მეტოქემ ხუან მონაკომ ერთი დღით ადრე წყვილთა შეხვედრაში ფეხი იღრძო და ტრამვა იმდენად სერიოზული გამოდგა, რომ არგენტინელმა კორტზე გასვლა ვერ შეძლო. ATP-ის დონეზე ბოლოს 2003-ში მოხდა, რომ ჩოგბურთელმა ტრავმის გამო ფინალში კორტზე გასვლაც ვერ მოახერხა — მაშინ ბაზელში დავიდ ნალბანდიანი იძულებული გახდა თანამემამულე გილერმო კორიასთვის უბრძოლველად დაეთმო ტიტული.

თუმც შეიძლება ითქვას, რომ გონსალესს ნაადრევი ფინალი შაბათს, ნახევარფინალში ჰქონდა, როცა ურუგვაელი პაბლო კუევასი 2 საათსა და 47 წუთში გატეხა — 6:7 7:6 6:2. ჩილელს ორი მატჩ-პოინტის ამოქაჩვაც მოუწია, რასაც გონსალესმა წარმატებით გაართვა თავი და მერე უკვე საკმაოდ დამაჯერებლად იხეირა.

„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ ამ ტიტულით. ეს ტურნირი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგანაც ერთადერთი შეჯიბრია, რომელიც ჩილეში ტარდება და წელიწადში ერთხელ მიწევს ხოლმე ჩემიანების წინაშე თამაში. თუმც მონაკოც მეცოდება, რომელიც მშვენიერი ჩოგბურთელია და კიდევ უკეთესი ადამიანი — ძნელია მის ადგილზე ყოფნა“ — განაცხადა დაჯილდოებისას გონსალესმა.

მონაკოზე კი იმასღა დავამატებთ, რომ ტრავმის გამო ამ ბიჭს დამდეგ უქმეებზე დევისის თასზე დიდ ბრიტანეთთან დაგეგმილი ჯახის გამოტოვებაც მოუწევს.

**ბაჩა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიაში ჭერი გამაღლდა



ბლანკა ვლასიჩი

**გერმანიის** მომცრო ქალაქ არნშტადტის სამძლეოსნო დარბაზმა გასულ უქმეებზე სიმაღლეზე მხტომელთა, ასე ვთქვათ, ექსკლუზიური ტურნირი მიიღო. ბლანკა ვლასიჩი და ელენა სლესარენკო, შტეფან ჰოლმი და ანდრეი სილნოვი, ბევრიც კიდევ სხვა... მოკლედ, ქალებშიც და ვაჟებშიც ძლიერმა მხტუნავებმა მოიყარეს თავი ამ პაწია ქალაქში და ორივე სქესში სეზონის რეკორდები გამოცხვა.

ბლანკა ვლასიჩი თანამედროვეობის საუკეთესო ხტუნია ქალი რომაა, ეს უკვე მერამდენედ გამოჩნდა. მაღალ თეძო-კანჭა ხორვატმა ყველა სიმაღლე თითო ცდით აილო და არც 203-სანტიმეტრიან ნახტომზე დახარჯა ზედმეტი ცდა. ამ შედეგით მან ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა სეზონის საუკეთესო შედეგი და თავი გამარჯვებულად რომ დაიგულა, თამასა 206 სანტიმეტრზე შემოადებინა. ამ სიმაღლეზე ბოლო წლებში მის გარდა ვერავინ დაფრინავს. ვლასიჩმა ახლაც თითქმის აილო, ორი საკმაოდ კარგი ცდა ჰქონდა, მაგრამ ორივეჯერ ჩამოუვარდა თამასა და მესამედ აღარც უცდია, სხვა დროისთვის გადადო პუბლიკის განცვიფრება.

ვლასიჩის ზურგსუკან 201-სანტიმეტრიანი ნახტომით მეორე ადგილი შეხვდა რუს ოლიმპიურ ჩემპიონ ელენა სლესარენკოს, რომელიც ბოლო ჟამს ვერაფერს იგებს, მესამე კი უკრაინელი ვიქტორია პალამარი (199) იყო.

კაცებში კი რუსმა ანდრეი სილნოვმა იყოჩაღა, ვინაც 237 სანტიმეტრი დაძლია და პირადი რეკორდი გაიმეორა, რაც ამავ დროს სეზონის საყოველთაო რეკორდიც გამოდგა. მეტი კი სილნოვმა ვეღარ მოახერხა, თუმცა ჯერ ერთი ცდა 239 სანტიმეტრს დაახარჯა, შემდეგ ორზე კი 241-ზეააწევინა ზღუდე. მეორე იყო შვედი შტეფან ჰოლმი (235), მესამე ადგილი კი კიდევ ერთ რუს იაროსლავ რიბაკოვს (235) დარჩა.

**კოტე ყორშია**

# ნელსონის 22-მეტრიანი მედისონი

**ნიუ იორკის** უცნობილეს დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენს“ კაცი მსოფლიოში ვერ მოუძებნის ანალოგს. გარდა იმისა, რომ იქ ყოველ კვირა და ხან კვირაში ორჯერაც თავიანთ საშინაო მატჩებს მართავენ ნბა-ს „ნიუ იორკ ნიქსი“ და ნჰლ-ის „ნიუ იორკ რეინჯერსი“, „გარდენი“ მასპინძლობს დრაფტებს, საჭიდაო ტურნირებს, საკრივო ორთაბრძოლებს, საცირკო წარმოდგენებს, როკ-კონცერტებს და დოლსაც კი და რა გასაკვირია, იქ წელიწადში ერთხელ მძლეოსნებიც რომ შეიყრებიან ხოლმე.

2 თებერვალს იქ ერთი ასეთი ტურნირი გაიმართა და ხალხიც ბლომად დაესწრო, რაკიღა არაერთმა ამერიკელმა ვარსკვლავმა ისურვა ლეგენდარულ დარბაზში მრავლისმნახველი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა და ტურნირს არ მოჰკლებია ცნობილი ხალხი...




დღესდღეობით კაცთა ბირთვის კვრაში ამერიკელები დომინირებენ, მათ სამი მსოფლიო დონის მკვრელი ჰყავთ და იმ დღეს სამივე იქ იყო. იმარჯვა ადამ ნელსონმა, ვინაც რკინის ბირთვი 22,07 მეტრზე ჰკრა და 25 სანტიმეტრით გააუმჯობესა „მედისონ სკვერის“ შიდა რეკორდი, რომელიც შარშან დაემყარებინა მის მარადიულ კონკურენტ კრისტიან კანტველს. ამ უკანასკნელს იმ საღამოს ორმაგად გაუცრუვდა იმედი — რეკორდი ხომ დაკარგა და საუკეთესო, 21,13-მეტრიანი ცდით მხოლოდ მესამე იყო მესამე მძლავრი ამერიკელის, მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ რიის ჰოფას (21,33) შემდეგ.

აუცილებლად სათქმელია და, ნელსონის 22,07 მეტრი სეზონის საყოველთაო რეკორდიც გახლავთ.

„მედისონ სკვერში“ კიდევ რამდენიმე საინტერესო შედეგი აღინიშნა, თუმც მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ.

**კოტე ყორშია**

# მორის გრინმა თავი წასვლით შეგვახსენა




**მძლეოსნობის** ისტორიაში მხოლოდ სამი კაცი სპრინტერია, ერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 და 200 მეტრზე სირბილიც რომ მოუგია და თანაგუნდელებთან ერთად 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიც უპირველია. რა გასაკვირია და სამივე ამერიკელია — კარლ ლუისი, მორის გრინი და ტაისონ გაი. ლუისი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ბრწყინავდა, გაი მოქმედი ვარსკვლავია და თავისი სამმაგი გამარჯვება მან შარშან მოიპოვა, ხოლო გრინმა აგერ ორიოდე დღის წინ განაცხადა, სირბილი მეყოფა და კარგად იყავითო.

ისე, კარგა ხანია, გრინის შესახებ აღარაფერი გვსმენია და კიდევ თუ დარბოდა, ალბათ პატარა ტურნირებზე. ამ ამერიკელის კარიერის პიკი 1999 წელს, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო, როდესაც სამ ოქროს მოუყარა თავი. შემდეგ, ერთი ხანობა, უპრესტიჟულეს მსოფლიოს რეკორდსაც ფლობდა 100 მეტრზე სირბილში, მაგრამ წლებს თავისი მიაქვს — გრინმა თანდათან დაკარგა სისწრაფე, რეკორდიც ჩამოართვეს და აჰა, ახლო წარსულის დიადმა მორბენალმა წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება.




ელაი მენინგის პასებმა „პატრიოტები“ დაასამარა

# გიგანტომანია

**გუშინ,** ჩვენი დროით გამთენიისას, არიზონული უდაბნოს შუაგულში აშშ-ის უმთავრესი სპორტული მოვლენა — „სუპერბოული“ გათამაშდა. როგორც ყოველთვის, ამერიკაში ამჯერადაც სამიოდ საათით თითქმის ყველანაირი მოძრაობა გაჩერდა, შეწყდა სწავლა და მუშაობა, რადგანაც დიდი თუ პატარა, ყველა ტელეეკრანებს მიუსხდა, რათა წლის უდიდესი შოუ ენახა.

დიახ, ჩვენთვის რაც უნდა გასაკვირად ჟღერდეს, „სუპერბოული“ის მოვლენაა, რომელსაც ამერიკაში უკლებლივ ყველა უცქერის და რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ყველა მოუთმენლად ელის. მაყურებელი არც ნჰლ-ისა და ნბა-ს სუპერფინალებს აკლია, კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე მლბ-ის (ბეისბოლის ლიგა) სუპერ-სერიები, მაგრამ ამათ მხოლოდ ამ სპორტების თავგადაკლული გულშემატკივრები უცქერენ. ხოლო ის ერთადერთი, რასაც უკლებლივ ყველა ამერიკელი, თუნდაც სპორტში სრულიად ჩაუხედავი, აუცილებლად უყურებს, სწორედ რომ „სუპერბოულია“.

დიახ, ჩვენთან ამერიკული ფეხბურთის სახელით ცნობილი სპორტის სახეობა იანკთა უსაყვარლესი სანახაობა-გასართობია. ნებისმიერი ბავშვის ოცნება ნფლ-ში თამაშია, თუმც იქ მხოლოდ რჩეულები ხვდებიან, რომლებიც ლამის ავტომატურად ცნობილ სახეებად იქცევიან და საზოგადოების ყურადღების მუდმივ ეპიცენტრში არიან. თავად „სუპერბოული“ კი უკვე მხოლოდ სპორტული მოვლენა კი არა, უდიდესი შოუა, რომელიც ყოველწლიურად დიდი პომპეზურობით იდგმება და რომელში მონაწილეობასაც არც ერთი სახელოვანი მომღერალი არ თაკილობს. დაბოლოს, თუნდაც ეს რად ღირს — „სუპერბოულის“ დროს რეკლამისთვის სატელევიზო ეთერის ნახევარი წუთი მილიონიდან მილიონნახევარ დოლარამდე მერყეობს...

კვირას რიგით 42-ე „სუპერბოული“ გაიმართა, რომელიც მშვენიერი საცქერი გამოდგა — მატჩს არც დაძაბულობა აკლდა და არც ლამაზი კომბინაციები, გამარჯვებულის ბედი კი სულაც ბოლო წამებზე გაირკვა. თანაც ყველაფერი ისე დასრულდა, ამერიკელებს რომ უყვართ. როგორც იანკები ეძახიან, „კონკიაგუნდმა“ აშკარა ფავორიტი გააკრა ბეჭებზე, რაც იმის დასტურია, რომ ეს „სუპერბოული“ კიდევ კარგა ხანს არავის დაავიწყდება.

ეს „კონკია“ გუნდი კი „ნიუ იორკ ჯაინტსი“ იყო, რომელიც პლეიოფში დიდი გაჭირვებით მოხვდა, მაგრამ აქ აილო და, ზედიზედ მოუგო თავისი კონფერენციის ლიდერებს, რომლებსაც გუშინ ბოლო წლების ფლაგმანი „ნიუ ინგლენდ პეტრიოტსიც“ მიაყოლა.

„ნიუ ინგლენდი“ სულაც ცალკე სალაპარაკო თემაა — მწვრთნელგენიოს ბილი ბილიჩეკისა და ქოურტერბეკ (ჩვენებურად იგივე გამთამაშებელი) ტომ ბრეიდის წინამძღოლობით „პატრიოტები“ ლიგის მოდის კანონმდებლები არიან და აკი 2002-2005 წლებში „სუპერბოული“ სამჯერაც მოიგეს. ბოსტონური გუნდი წლეულს სულაც ისტორიის ზღვარზე იდგა, რადგანაც აბსოლუტური რეკორდის დამყარება შეეძლო, რეკორდისა, რომელსაც მომავალში ვერავინ გააუმჯობესებდა, მხოლოდ თუ გაიმეორებდნენ — „ნიუ ინგლენდმა“ წლეულს რეგულარულ ჩემპიონატში 16-ვე მატჩი მოიგო და გუშინ რომ გაემარჯვა, სეზონს დაუმარცხებლადაც ჩაამთავრებდა, რაც მართლაც ფანტასტიკა იქნებოდა.

თუმც „ნიუ იორკის“ დაცვამ „პატრიოტების“ სუპერშეტევა, რომელმაც რეგულარულში თითქმის ყველანაირი რეკორდი მოხსნა, მაგრამ შეაკავა და თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ჩახუთა. ამის მიუხედავად, შეხვედრის დასრულებამდე ორწუთნახევრით ადრე ბრეიდიმ თავისი საქმე გააკეთა, ზუსტად უპასა რენდი მოსს და „ნიუ ინგლენდიც“ 14:10 დაწინაურდა. აქ თითქოს ყველაფერი უნდა მორჩენილიყო, მაგრამ „გიგანტების“ ახალგაზრდა ქუორტერბეკმა ელაი მენინგმა დარჩენილი დრო იმყოფინა, რამდენიმე ფანტასტიკური კომბინაცია გაათამაშა და მატჩის დასრულებამდე 35 წამით ადრე თავისი გუნდი დააწინაურა კიდეც — 17:14.

ბრეიდისა და მის პარტნიორებს დრო მართლაც აღარ ეყოთ და ისტორიაში სამუდამოდ შესვლამდე ძალიან მცირე ნაბიჯი დააკლდათ.

მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ კი, რა თქმა უნდა, მენინგი დასახელდა, რომელმაც ამით თავისი უფროსი ძმის შარშანდელი მიღწევა გაიმეორა. ერთი წლის წინ ტრიუმფატორის მანტია პეიტონ მენინგს ესხა თავის „ინდიანაპოლის კოლტსთან“ ერთად.

ვერაფერს იტყვი, ნფლ-ში მენინგების ოჯახის დრო დამდგარა.

**კახა ლომაშვილი**

მსოფლიოს ჩემპიონატი. მოსკოვი. რუსეთი

# რუსებს რუსებისა

**რუსეთში** დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი რუსულ, სხვანაირად, ბურთიან ჰოკეიში, რომელსაც საერთაშორისო მასშტაბით ბენდი ჰქვია.

ბენდის მამები ცდილობენ, თავიანთი სპორტი ოლიმპიურ სახეობად აქციონ. თანაც, 2014 წელს ზამთრის თამაშები რუსეთში, კერძოდ კი სოჭში ტარდება და იმის ალბათობა, რომ ბენდი ოლიმპიადის პროგრამაში ჩართონ, საკმაოდ დიდია. თუმცა ოლიმპიური სახეობა რამდენიმე კრიტერიუმს აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, მინიმუმ სამ კონტინენტზე უნდა იყოს გავრცელებული და ქვეყანათა გარკვეულ, აუცილებელ რაოდენობას მოიცავდეს.

ალბათ, სწორედ აქედან გამომდინარე, წლევანდელმა ჩემპიონატმა მონაწილეთა აქამდე არნახულ რაოდენობას მოუყარა თავი — ორ, ზედა და ქვედა ჯგუფში 13 ქვეყნის ნაკრები იყო განაწილებული. ელიტარულ A ჯგუფში რუსეთი, შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, ბელარუსი და ყაზახეთი იყვნენ, ხოლო B ჯგუფში — აშშ, კანადა, ლატვია, ესტონეთი, ჰოლანდია, მონღოლეთი და უნგრეთი.

ორივე ჯგუფში თამაშები წრიული სისტემით ჩატარდა. შემდეგ A ჯგუფის ოთხმა საუკეთესო გუნდმა საჩემპიონო ბრძოლა პლეიოფის სისტემით გააგრძელა, ჯგუფის მაჩანჩალა B ჯგუფის საუკეთესოს ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად შეხვდა და ქვედა ჯგუფის დარჩენილმა ექვსეულმა ერთმანეთში გაინაწილა მერვე-მეცამეტე ადგილები.

საჩემპიონო ოთხეულში, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი, შვედეთი, ფინეთი და ყაზახეთი გავიდნენ. ნახევარფინალში შვედებმა, რომლებმაც ჯგუფურ ეტაპზე ყველა თამაში მოიგეს, 7:0 გაანადგურეს ყაზახები, ხოლო რუსებმა 9:1 გადაუარეს ფინელებს.

ელიტაში ადგილის შესანარჩუნებელ მატჩში ბელარუსებმა 6:4 დაჯაბნეს ამერიკელები, მესამე ადგილისთვის ფინელებმა 8:3 მოუგეს ყაზახებს, ხოლო საჩემპიონო დუელში, რომელშიც ძველისძველი მეტოქეები, რუსები და შვედები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მასპინძლებმა რევანში აიღეს ჯგუფურ ეტაპზე მარცხისთვის, 6:1 მოიგეს და ჩემპიონობა მოიპოვეს.

საბოლოო ჯამში, ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ასეთი თანმიმდევრობით დალაგდნენ: 1. რუსეთი, 2. შვედეთი, 3. ფინეთი, 4. ყაზახეთი, 5. ნორვეგია, 6. ბელარუსი, 7. აშშ, 8. კანადა, 9. ლატვია, 10. ესტონეთი, 11. ჰოლანდია, 12. მონღოლეთი, 13. უნგრეთი.





NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

3 თებერვალი

**მონრეალი 3:5 რეინჯერსი**

*2:0 1:3 0:2*

1:0 მარკოვი (4), 2:0 კოვალიოვი (14), 3:0 კოსტიცინი (26), 3:1 როზივალი (29), 3:2 დუბინსკი (30), 3:3 გომესი (36), 3:4 დრური (51), 3:5 სტრაკა (59)



მონრეალელი კრისტობალ იუეს კარში ხუთი შაიბა გავიდა





ლარა გუტმა ფინიშს წაქცეულმა [illegible]

# გლობუსთმპყრობელი

## უთხილამუროდ, კოტრიალ-კოტრიალით

**ზედიზედ** მესამე კვირაა, ამერიკელი ბოდე მილერი სუპერკომბინაციას იგებს — 20 იანვარს ავსტრიულ კიცბიულში აჯობა ყველას, 27 იანვარს ფრანგულ შამონიში იყო საუკეთესო, გასულ კვირას კი ისევ საფრანგეთში, ვალ დიზერში იპირველა.

კვირის სუპერკომბინაციის გარდა ვალდიზერში, შაბათს სწრაფდაშვებაც უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო ვერ მოხერხდა. კვირას კი ამერიკელმა თავის გამარჯვებას, სწორედ სწრაფდაშვებისას ჩაუყარა საფუძველი და მოპოვებული უპირატესობა სლალომის ტრასაზე უპრობლემოდ შეინარჩუნა, მიუხედავად ხორვატების, ივიცა კოსტელიჩისა და ნატკო ზრნჩიჩ-დიმის შეტევებისა.

ვალდიზერული წარმატება მილერისთვის სეზონში მეხუთე და კარიერაში 30-ე იყო. თანაც, ამერიკელმა ფაქტობრივად გაინაღდა კომბინაციაში გამარჯვებულის სარგო მცირე ბროლის გლობუსი, რომელიც მას 2003-04 წლებშიც მოუგია და გენერალურ კლასიფიკაციაშიც, ანუ დიდი ბროლის გლობუსისთვის ბრძოლაში, გვარიანად დაწინაურდა — 122 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ ავსტრიელ ბენჯამინ რაიხს.

პარალელურად, ქალები შვეიცარიულ სანკტ მორიცში იყვნენ, სადაც სწრაფდაშვებისა და სუპერგიგანტის ეტაპები ჩატარდა. სწრაფდაშვება სენსაციურად დასრულდა — პირველი ადგილი სლოვენიელმა ტინა მაზემ დაიკავა, ვინც აქამდე ტექნიკური დისციპლინების, სლალომისა და გიგანტური სლალომის სპეციალისტად ითვლებოდა. უფრო დიდი მოულოდნელობა კი 16 წლის შვეიცარიელი ლარა გუტის მესამე ადგილი იყო. თანაც, ტრასის ბოლო მონაკვეთზე ნორჩი შვეიცარიელი დავარდა და ფინიშის ხაზი თხილამურებით კი არა, კოტრიალ-კოტრიალით გადაკვეთა. საბედნიეროდ, ლარა არ დაშავებულა, მეორე დღესაც გამოჩნდა სუპერგიგანტის ტრასაზე და კვლავ იყოჩაღა — მეხუთე შედეგი აჩვენა.

სუპერგიგანტი კანადელმა ემილი ბრაიდონმა მოიგო და ეს მისთვის მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოპოვებული პირველი გამარჯვება გახლდათ.

საერთო ჩათვლაში წინ, კვლავაც ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპია, ვისაც კვალში ამერიკელი ლინდსი კილდოუ უდგას.



**მსოფლიოს თასი. ქალები. სენტ მორიცი. შვეიცარია. 2-3 თებერვალი**

| | |
|---|---|
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ტინა მაზე (სლოვენია) | 1 წთ 44,38 წმ |
| 2. მარია ჰოლაუსი (ავსტრია) | 1.44,72 |
| 3. ლარა გუტი (შვეიცარია) | 1.44,73 |
| 4. ემილი ბრაიდონი (კანადა) | 1.44,76 |
| 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.44,80 |
| **სუპერგიგანტი** | |
| 1. ემილი ბრაიდონი (კანადა) | 1 წთ 17,39 წმ |
| 2. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.17,64 |
| 3. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.17,68 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.17,69 |
| 5. ლარა გუტი (შვეიცარია) | 1.17,77 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 957 ქულა |
| 2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 868 |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 781 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 776 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 759 |

**მსოფლიოს თასი. კაცები. ვალ დიზერი. საფრანგეთი. 2-3 თებერვალი**

| | |
|---|---|
| **სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება + სლალომის ერთი ცდა)** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 2 წთ 18,45 წმ (1.33,88+44,57) |
| 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 2.18,83 (1.36,14+42,69) |
| 3. ნატკო ზრნჩიჩ-დიმი (ხორვატია) | 2.19,44 (1.36,06+43,38) |
| 4. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 2.19,54 (1.36,18+43,36) |
| 5. ალეშ გორცა (სლოვენია) | 2.19,63 (1.35,97+43,66) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1067 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 945 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 882 |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 676 |
| 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 641 |

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ბარსელონა ვებერმა დახურა




**ბარსელონაში**, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე დასრულდა მორიგი სეზონისწინა სატესტო სესია. ტესტების დასკვნით, მესამე დღეს ყველაზე სწრაფი „რედ ბულის“ ავსტრალიელი მრბოლი მარკ ვებერი იყო, რომელმაც კატალონიურ ტრასას საუკეთესო წრეზე წუთსა და 22,385 წამში შემოუქროლა. ვებერს მცირედით ჩამორჩნენ „მაკლარენის“ პილოტები, ფინელი ჰეიკი კოვალაინენი (1.22,422) და ინგლისელი ლუის ჰემილტონი (1.22,459). მეოთხე იყო „BMW-ზაუბერის“ პოლონელი რობერტ კუბიცა (1.22,492). მასპინძლების კერპმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ფერნანდო ალონსომ თავისი „რენოთი“ მეხუთე შედეგი (1.22,509) აჩვენა, ხოლო მეექვსე კუბიცას გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდი (1.22,874) იყო, ვისაც დილის სესიისას, ძრავის პრობლემები შეექმნა და ერთი ხანობა ტრასიდან გავიდა.

წინა დღის გმირებმა, „ტორო როსოს“ პილოტებმა, ფრანგმა სებასტიენ ბურდემ და გერმანელმა სებასტიან ფეტელმა ამჯერად, შესაბამისად, მეშვიდე და მეათე დრო აჩვენეს, მათ შორის კი „რედ ბულის“ ვეტერანი შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი და „რენოში“ ალონსოს თანაგუნდელი ნელსონ პიკე უმცროსი განლაგდნენ.

სიის ბოლოში კვლავაც „ჰონდას“ მრბოლები — ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო და ინგლისელი ჯენსონ ბატონი დარჩნენ. ახალი „ჰონდა“ RA108 ჯერჯერობით გვარიანად, წრეზე წამზე მეტით ჩამორჩება კონკურენტებს და იაპონური საჯინიბოს ინჟინერ-მექანიკოსებს ბლომად სამუშაო აქვთ.

ტესტების ბოლო დღეს ტრასაზე აღარ გამოჩენილან „უილიამსის“ ბოლიდები. სერ ფრენკ უილიამსის გუნდის მანქანებს წინა ანტიფრთის პრობლემები ჰქონდათ და ამის გამო პარასკევს კაზუკი ნაკაჟიმას სერიოზული ავარიაც შეემთხვა. თანაც ტესტების მსვლელობისას ინგლისელებმა ეს პრობლემა ვერ მოაგვარეს და ზედმეტ რისკს სახლში დაბრუნება ამჯობინეს.

ტესტების მორიგი სესია, უკვე ამ კვირაში გაიმართება ბაჰრეინში, ოღონდაც იქ მხოლოდ ორი გუნდი, „ფერარი“ და „ტოიოტა“ ჩავა.

**ბახა ლომაძე**

# მამა, დარჩი სახლში
## ნელსონ პიკე ნელსონ პიკეს ტელევიზორში ნახავს

**ბოლო** წლებში ფორმულა I-ის ტრასებზე ხშირად ნახავთ პილოტების ოჯახის წევრებს. მაგალითად, ლუის ჰემილტონის მამას შარშან არც ერთი დიდი პრიზი არ გაუცდენია და ნიკო როსბერგის მშობლებიც სისტემატურად ადევნებენ თვალს თავიანთ შვილს.

ლეგენდარული ბრაზილიელის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ნელსონ პიკეს ვაჟს, ნელსონ პიკე უმცროსს, ყველაფერ ამაზე სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვს. ნელსინიო, ვინც წლეულს „რენოს“ საპრიზო პილოტი იქნება და მოუთმენლად ელის თავის საპირველფორმულო დებიუტს, თვლის, რომ მშობლის, თუნდაც ის მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იყოს, ტრიბუნაზე ყოფნა სასურველი არ არის.

„ვამჯობინებ, რომ მშობლები მოშორებით იყვნენ და მე მთლიანად საქმეზე ვიყო კონცენტრირებული. ჩვენთვის, პილოტებისთვის, სწორედ ტრასაა სამუშაო ადგილი და სამსახურში კი მშობლებთან ერთად არ დადიან. ამიტომაც აჯობებს, რომ მამაჩემი სახლში დარჩეს და რბოლას ტელევიზორში უცქიროს“ — განაცხადა უმცროსმა პიკემ.

**ბახა ლომაძე**





# რაც A, ის B
## ვარისი სამშვილიშვილოდ დაისჯება



**ფინელ** ბიატლონისტ ქალ კაისა ვარისს სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება — 6 იანვარს აღებული A სინჯის შემდეგ B სინჯმაც დაადასტურა კაისას ორგანიზმში დოპინგის არსებობა. ანალიზი 29 იანვარს, შვეიცარიული ლოზანას ანტისადოპინგო ლაბორატორიაში ჩატარდა და მას ვარისის წარმომადგენლები არ დასწრებიან, თუმც კი ამის უფლება ჰქონდათ.

ვარისი ადრეც ჩავარდა დოპინგზე, მაშინ, როდესაც ბარის მოთხილამურე იყო და მსოფლიოს თასის ეტაპებზე ორი გამარჯვების მომპოვებელი, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. სასჯელი რომ მოიხადა, კაისამ უბრალო თხილამურობას უგანა და შაშხანა მოიმარჯვა. თავიდან ბევრი არაფერი, მაგრამ 11 იანვარს, გერმანულ რუპოლდინგში ფინელმა 7,5-კილომეტრიანი სპრინტი მოიგო და როგორც ბიატლონისტმა, პირველი გამარჯვება მოიპოვა.

როგორც ჩანს, პირველიც და უკანასკნელიც და ახლა ამასაც ჩამოართმევენ და მეორე ადგილზე გასულ რუს სვეტლანა სლეპცოვას გადასცემენ, ვისთვისაც ეს მართლაც პირველი ტიტული იქნება — რადგანაც ვარისი უფრო ადრე, 6 იანვარს აღებულ სინჯზე ჩავარდა, ამიტომაც ამ რიცხვის მერე ნაჩვენები მისი ყველა შედეგი გაუქმებას ექვემდებარება.

განაჩენი ოფიციალურად, ჯერ გამოტანილი არ არის. IBU (ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირი) უახლოეს ათ დღეში აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალურ სხდომას ჩაატარებს და ვერდიქტიც მაშინ გამოცხადდება, მაგრამ აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვარისს, როგორც დოპინგის მიღებაში მეორედ მხილებულს, სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯიან.

და ერთიც — რამდენიმ[illegible] მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება [illegible] ფინეთის ბიატლონის [illegible] ბოსებმა რაღა გასაკვირია და კაისა ვარისი სამსოფლიოჩემპიონატო განაცხადში არ შეიყვანეს.



# ფიდემ დიდი პრიზები ჩამოწერა

**ჭადრაკის** საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა „გრან პრის“ სერიის ტურნირების კალენდარი. სერია ექვს შეჯიბრს მოიცავს. მისი გამარჯვებული 2009 წლის მსოფლიოს თასის მომგებს შეხვდება და ამათში საუკეთესო უფლებას მიიღებს, 2010 წელს მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს შეხვდეს სატიტულო ბრძოლაში.

ექვსი ტურნირიდან სამი წლეულს გაიმართება, სამიც — 2009 წელს. სერიის სრული კლაენდარი ასე გამოიყურება:

**2008 წელი**

| | |
|---|---|
| 20 აპრილი — 6 მაისი | ბაქო (აზერბაიჯანი) |
| 30 ივლისი — 6 აგვისტო | კრასნოიარსკი (რუსეთი |
| 13-29 დეკემბერი | დოჰა (ყატარი) |

**2009 წელი**

| | |
|---|---|
| 13-29 აპრილი | მონტრე (შვეიცარია) |
| 1-17 აგვისტო | ელისტა (რუსეთი) |
| 7-23 დეკემბერი | კარლოვი ვარი (ჩეხეთი) |

*სარეზერვო ქალაქებია სტამბოლი (თურქეთი) და თეირანი (ირანი). თითოეულ ტურნირში 14 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge